MES 9 21 0000524000

04/06/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 21 მაისს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ

Join Zoom Meeting:
https://us02web.zoom.us/j/82059340599?pwd=K003UnZLdXlpNmcyRm41cUNaSVhPZz09

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე, საჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი, საბჭოს წევრი;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს მდივანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთი ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილე;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს - „არსი“:
ნათია ნოზაძე - დირექტორი.

სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“:
გიორგი გოგიტიძე - დირექტორი;
მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე;
ბიძინა კირთაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“:
ნინო ბაკურაძე - დირექტორი;
ეკატერინე ფოჩხუა - ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი:
რუსუდან სუხიშვილი - დირექტორი;
ნინო დვალი - ხარისხის მენეჯერი;
ზაქარია გინტური - ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ივანე ბალახაშვილი - იურისტი.

ა(ა)იპ კოლეჯი„პრესტიჟი“:
კონსტანტინე დოლიძე - დირექტორი;
ია ნადირაძე - დირექტორის მოადგილე;
ნაირა ჭინჭარაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
თეო ხატიაშვილი - ფინანსური მენეჯერი;
მაკა კიკნაძე - სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;
ნატო დაღუნდარიძე - პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;
გაგა ბუიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ლევან ვაშაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“:
როინ ტაკიძე - დირექტორი;
თეიმურაზ მაჩაიძე - დირექტორის მოადგილე;
ეკატერიძე მაძღარაშვილი - იურისტი;
ნოდარ მეგრელიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:
ნანა შარაბიძე,
დავით კუპატაძე,
ნაზო წიბლიაშვილი,
მზია ბაკურიძე,
თეა ლილუაშვილი,

თამარ ახალაძე,
მიხეილ სამხარაძე,
ირაკლი სალუქვაძე,
მანანა მოისწაფიშვილი,
დავით გუდაძე,
იაზონ დანელია,
ნანა შათირიშვილი,
ირმა ღარიბაშვილი,
ნატალია დარჩინიანი,
ირმა არსენიშვილი,
თამარ რემიშვილი,
ჯიმშერ მაისურაძე,
გივი დოლიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი ნანი დალაქიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განმარტა, რომ სხდომას ვერ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი ნანა ყუფუნია, საბჭოს წევრების უმრავლესობამ სხდომის თავმჯდომარედ მხარი დაუჭირა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ შორენა ჯაფარიძეს.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**
1. შპს „პროფიუნიტის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს - „არსისთვის“ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - კოლეჯი „პრესტიჟისთვის“ „მევენახეობა-მეღვინეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „სარესტორნო მომსახურების“, „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „ელექტროობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

7. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „თმის მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ „კონდიტერიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

1. **შპს „პროფიუნიტის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ქალბატონმა ნანა შარაბიძემ და ბატონმა დავით კუპატაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნანა შარაბიძემ განმარტა, ავტორიზაციის საფუძველი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N75846 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის საფუძველი დაწესებულების საავტორიზაციო განაცხადი იყო, შესაბამისად აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა დაწესებულება ავტორიზაციის ყველა სტანდარტის მიხედვით. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა მეორე სტანდარტის მიხედვით შეაფასა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ისინი ვერ დაუკავშირდნენ დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერს, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საავადმყოფოში იმყოფებოდა. დისტანციური ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 16 მარტს, თუმცა ერთი შეხვედრის ფარგლებში ვერ მოესწრო ყველა საკითხის დაფარვა, ექსპერტთა ჯგუფი განმეორებით შეხვდა დაწესებულების წარმომადგენლებს. ამასთან, პირველი ჩართვის დროს

დაწესებულებას წარმოდგენილი არ ჰქონდა გაუმჯობესების გეგმა, რაც დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა განმეორებითი ჩართვის დროს. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული გეგმით იხელმძღვანელა დასკვნის შემუშავების პროცესში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ კომპონენტებზე, რომელთა მიმართებაშიც ექსპერტთა ჯგუფმა განმავითარებელი რეკომენდაციები გასცა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზი არ დაფიქსირებულა, თუმცა გაუმჯობესების გეგმაში მოცემულია რამდენიმე პუნქტი, რომლის შესაბამისადაც ექსპერტთა ჯგუფმა მოსაზრებები წარუდგინა საბჭოს. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტთან მიმართებაში, რომლის ეხება საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას. განმავითარებელი რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია გადაიხედოს დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები, ღირებულებების ნაწილში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას ღირებულები ჰქონდა ძალიან ვრცლად წარმოდგენილი, უფრო კონკრეტულად კი მოცემული იყო ისეთი საკითხები, რომელიც არა თავად ღირებულებებს, არამედ ღირებულების შესასრულებლად სამოქმედო გეგმას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულება აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისობაში მყოფი. დაწესებულება ასევე სტანდარტთან შესაბამისად შეფასდა 1.2.1 კომპონენტის ნაწილშიც, ამ ნაწილში ექსპერტთა ჯგუფს არ დაუფიქსირებია ხარვეზი და არ გაუციათ განმავითარებელი რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გასცა პირველი სტანდარტის 1.2.2 კრიტერიუმთან მიმართებაში, რაც გულისხმობს, რომ „პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით“. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მონიტორინგი უნდა განხორციელებულიყო იმ პერიოდში, როდესაც დაწესებულებას აღარ ჰყავდა აქტიური სტუდენტები, დასრულებული ჰქონდა საგანმანათლებლო პროცესი და ამასთან იყო პანდემიის პერიოდი, ამიტომ დაწესებულებას მონიტორინგი, რომელიც გეგმიურად უწევდა, არ განუხორციელებია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რადგან დაწესებულების მიერ განმარტებული იყო ვადების დარღვევის მიზეზი, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაცია რომლის მიხედვით, სასურველია დაწესებულებამ საქმიანობაში გაითვალისწინოს მათივე რეგულაციების მოთხოვნები და იმოქმედოს მითითებული პროცედურების დაცვით.
ამის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა დასკვნა დაწესებულების ავტორიზაციის მესამე სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია 3.2.1 კომპონენტთან მიმართებით, უფრო კონკრეტულად კი: 1) პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; და 2) პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებით შემუშავებული აქვს რეგულაციები, თუმცა ამ რეგულაციების გარკვეული ნაწილები საჭიროებდა დაზუსტებას. რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია დაწესებულებამ გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტს „სტუდენტთა ცოდნის და უნარების შეფასების სისტემა მოდულური პროგრამებისათვის“ და სრულყოფილად გაიწეროს პროფესიული სტუდენტის აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სათანადო კონსულტირებისა და მხარდაჭერის პროცესი და თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს აღნიშნული მარეგულირებელი წესის მიხედვით. მეორე რეკომენდაციის მიხედვით კი, სასურველია დაწესებულებამ გადახედოს დოკუმენტს „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“ და დოკუმენტში გამოკვეთოს სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ხელშესაწყობად გასატარებელი ღონისძიებები. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გასცა ასევე 3.2.2 კომპონენტთან მიმართებით, უფრო კონკრეტულად კი - „კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის“. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება ატარებს გასვლით ღონისძიებებს სკოლებში, ატარებს შეხვედრებს დამსაქმებლებთან და ა.შ. გაცემული რეკომენდაციის მიხედვით კი, სასურველია დაწესებულებამ გაამრავალფეროვნოს კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, რაც გამოიხატება ღია კარის დღეების მოწყობით დაწესებულებაში, სადაც დაინტერესებული პირები (პოტენციური სტუდენტები) ადგილზე გაეცნობიან საგანმანათლებლო პროგრამებს, მატერიალურ ბაზას და სხვა დამატებითი სერვისების მიღების შესაძლებლობებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაწესებულების ავტორიზაციის მესამე სტანდარტთან შესაბამისობის განხილვის შემდეგ გადავიდა ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის ნაწილზე, რომელიც ეხება ადამიანურ რესურსებს. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გასცა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად კი 4.2.1 კომპონენტთან მიმართებით („პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას“). ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის მიხედვით პერსონალი უნდა შეფასდეს თუნდაც სტუდენტების, თანამშრომლების მხრიდან, თუმცა დაწესებულებას მსგავსი მექანიზმებით შეფასება არ განუხორციელებია. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა აქტიური სტუდენტები, ამასთან იყო პანდემია. გაცემული რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია დაწესებულებამ მოახდინოს პერსონალის საქმიანობის შეფასება და უზრუნველყოს პროფესიული განვითარების საჭიროებათა რეგულაციის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შემდეგ ისაუბრა ავტორიზაციის მეხუთე სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ. აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით, დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა. პირველი გაუმჯობესების გეგმა ეხებოდა შენობა-ნაგებობის ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფას - 2021 წლის 16 სექტემბრამდე შენობა უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური გათბობის სისტემით. გაუმჯობესების მეორე გეგმა გულისხმობს დაწესებულებაში სასწავლო პროცესის საჭირო მასალებით და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმების მოქმედებას. დაწესებულებას აღნიშნული მექანიზმები არ ჰქონდა გაწერილი, თუმცა გაუმჯობესების გეგმის მიხედვით აღნიშნული 2021 წლის 16 სექტემბრამდე გაწერილი უნდა ჰქონდეს. გაუმჯობესების მესამე გეგმა შეეხებოდა პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილ გამიჯნულ სანიტარულ კვანძებს, რომელიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიულ სტუდენტებისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვაჟებისათვის განკუთვნილი სანიტარული კვანძები ადაპტირებულია შესაბამისად შშმ პირებისათვის, ხოლო ქალებისათვის განკუთვნილი სანიტარული კვანძები არ იყო შესაბამისად მოწყობილი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული 2021 წლის 16 სექტემბრამდე უნდა იყოს უზრუნველყოფილი. გაუმჯობესების გეგმის შემდეგი ნაწილი ეხებოდა დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებული მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შიდა და გარე უსაფრთხოების კამერები დამონტაჟებული, რაც გაუმჯობესების გეგმის მიხედვით, 2021 წლის 16 ივნისისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციები გასცა 5.2.1 კომპონენტთან მიმართებით. უფრო კონკრეტულად პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესაბამისობას დაწესებულების პროცესებთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებაში წარმოდგენილია კომპიუტერები გარკვეული რაოდენობით, არსებობს კომპიუტერული კლასიც, თუმცა სასურველია აღნიშნული მეტი რაოდენობით იყოს წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უკვე შეიძინა დამატებით ორი ერთეული

კომპიუტერი, ამასთან დაწესებულებამ საჩუქრის სახით მიიღო დამატებით ერთი ერთეული კომპიუტერი. განმავითარებელი რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია დაწესებულებამ 1 ერთეული პერსონალური კომპიუტერი, რომელიც ჩუქების დოკუმენტით გადაეცა, აიყვანოს ბალანსზე. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომპიუტერულ კლასში წარმოდგენილია სხვადასხვა სიმძლავრის კომპიუტერი, ამიტომ გასაძლიერებლად საჭიროა სპეციალური ღონისძიებების გატარება. სასურველია დაწესებულებამ გადახედოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურას და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად მოახდინოს დამატებითი რესურსების მობილიზება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაუმჯობესების გეგმაში ასახული აქვს პსდ-ს მიერ პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით უზრუნველყოფა, რაც 2021 წლის 16 სექტემბრამდე უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანამშრომლებისათვის, ხოლო მას შემდეგ რაც სტუდენტებს მიიღებენ, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ერთიანი საკომუნიკაციო მექანიზმის ამ შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის შექმნა. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გასცა ასევე 5.2.2. კომპონენტთან მიმართებით („პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის). ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება იყენებს eFlow-ის სისტემას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კომუნიკაციისთვის. ექსპერტთა რეკომენდაციის მიხედვით კი, სასურველია დაწესებულებამ მართვაში გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები.

ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციები გასცა ასევე 5.2.3. კომპონენტთან მიმართებით. პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა შემდეგს: „პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ მათ განუმარტა, თუ როგორ ხდება ვებგვერდზე და სოციალური ქსელში ინფორმაციის განთავსება, სასურველია დაწესებულებამ შეიმუშავოს წესი, სადაც განსაზღვრავს მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე. მოცემულ კომპონენტთან მიმართებით გაცემული მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა შემდეგს - „პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად“. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს რამდენიმე წლის კატალოგი, რაც ასახავს კატალოგების განვითარებას, თუმცა ახალ კატალოგში არ არის ჩანაწერი, რომ მოცემული პროგრამები არ არის აქტიური, რასთან მიმართებაშიც გაიცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვით, სასურველია კატალოგის პროგრამების ჩამონათვალში ჩანდეს, რომ პროგრამების განხორციელება მოხდება დაწესებულების ავტორიზაციის შემდგომ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წარუდგინა გაუმჯობესების გეგმა და გაცემული რეკომენდაციები ფინანსურ რესურსებთან მიმართებით. გაუმჯობესების გეგმა ეხება პსდ-ს ფინანსური რესურსით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების უზრუნველყოფას. მან განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცა ატვირთული უნდა იყოს შესაბამის პორტალზე, რომლის ვადადაც დაწესებულებას ორი კვირა ჰქონდა მითითებული. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია კი შეეხებოდა დაწესებულების მიერ შეფასების სათანადოდ რეაგირებას. განმავითარებელი რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია დაწესებულებამ მოახდინოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და შესაბამისად დაგეგმოს შემდგომი აქტივობები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შეაჯამა დასკვნის პირველი ნაწილი და განმარტა, ექსპერტთა ჯგუფმა პირველ, მესამე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში სრული შესაბამისობა დააფიქსირა, ხოლო მეხუთე სტანდარტთან შედარებით მეტწილი შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას 3 პროფესიული პროგრამა აქვს წარმოდგენილი: 1. მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი; 2. სამთო ელექტრომექანიკოსი; 3. სამთო ტექნიკოსი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო რეკომენდაციები, რომელიც სამივე პროგრამისათვის გასცეს. პირველი რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია გადაიხედოს „პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“ და დაიხვეწოს ფორმულირებები განსაზღვრებების ნაწილში. მეორე - სასურველია, განახლდეს ხელშეკრულება შპს „ჯორჯიან მანგანეზთან“ და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ წარმოადგინოს განახლებული ხელშეკრულება. მესამე - სასურველია, მოხდეს დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული ბეჭდური საგანმანათლებლო რესურსების გაციფრულება.

დარგის ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა დასკვნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების შესახებ. მან განმარტა, რომ დაწესებულება „მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის“ პროგრამაზე ითხოვს 30 სტუდენტს, „სამთო ელექტრომექანიკოსის“ პროგრამაზე 30 სტუდენტს, ხოლო „სამთო ტექნიკოსის“ პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა არის 60. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პრაქტიკის ბაზები, გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელებს. დასტურდება მათი კვალიფიკაცია, როგორც გასაუბრებით ასევე მათი გამოცდილებით. ისინი მრავალი წელია მუშაობენ როგორც „ჯორჯიან მანგანეზის“ ობიექტებზე, ასევე „პროფიუნიტში“ უძღვებოდნენ აღნიშნულ პროგრამებს. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას არჩევითი მოდულები მხოლოდ „სამთო ტექნიკოსის“ პროგრამაზე აქვს წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა პროფესიულ მასწავლებლებს. მან აღნიშნა, რომ დასტურდება მასწავლებლების კვალიფიკაციაც. დაწესებულებას აქვს როგორც A გარემო, ასევე სამთო ტექნოლოგიებისათვის C გარემო. ფოტომასალაზე წარმოდგენილია C გარემო, სადაც ჩანს გვირაბების მაკეტები, ასევე შექმნილი აქვთ მაკეტები ბურღოაფეთქებითი სამუშაოებისთვის და ამ მაკეტების საშუალებით მიმდინარეობს სწავლება. ასევე, წარმოდგენილია სამთო ელექტრომექანიკოსის C გარემო. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამების პრაქტიკის კომპონენტი გატანილი აქვს „ჯორჯიან მანგანეზის“ მაღაროებში, უფრო კონკრეტულად კი შერჩეულია ორი მაღარო და ცხრა მიწისქვეშა მომპოვებელი უბანი. მან განმარტა, რომ როდესაც დადგება პრაქტიკის კომპონენტის პერიოდი, დაწესებულება გაუგზავნის წერილს „ჯორჯიან მანგანეზის“ ხელმძღვანელობას, შემდეგ გამოყოფენ პირებს და შესაბამისად გადაანაწილებენ სტუდენტებს ზემოთაღნიშნულ ობიექტებზე. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მყარი წიაღისეულის გამდიდრების სპეციალისტის პროგრამაზე დაწესებულებას C გარემოდ გამოყენებული აქვს გამამდიდრებელი ფაბრიკები, ამ ეტაპზე 4 გამამდიდრებელ კომბინატთან აქვს დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული და ასევე წყალსადენთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მეორე სტანდარტთან მიმართებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

საბჭოს წევრებმა სთხოვეს დარგის ექსპერტს დაეზუსტებინა, დაწესებულების მიერ მოთხოვილი სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, საჭიროა თუ არა აღნიშნული რაოდენობის სპეციალისტები, რაზეც დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ მიწისქვეშა მომპოვებელი უბნების, ე.წ. მაღაროების რაოდენობა კიდევ გაიზრდება მომავალში, შესაბამისად „ჯორჯიან მანგანეზი“ მუდმივად ახდენს თანამშრომლების გადამზადებას, ასევე ახალი კადრების დასაქმებას. მაგალითად, უნდათ კადრების გადამზადება სამთო ტექნიკოსის მიმართულებით, შესაბამისად დაწესებულებას სტუდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა აქ აქვს მოთხოვილი. დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ „ჯორჯიან მანგანეზს“ სჭირდება იმ რაოდენობით სპეციალისტები, რა რაოდენობითაც დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს სტუდენტთა რაოდენობა. დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ „ჯორჯიან მანგანეზს“ დაწესებულებასთან ხელშეკრულება წინა ავტორიზაციის ვადით ჰქონდა გაფორმებული, შესაბამისად გაფორმა ახალი ხელშეკრულება 2 წლის ვადით. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა ორი ხელშეკრულება, შპს „გოხთან“ და შპს „ენგატესთან“, პრაქტიკის

კომპონენტებს ასევე აღნიშნულ ორგანიზაციებში განახორციელებენ. ექსპერტთა ჯგუფის გაესაუბრა „ჯორჯიან მანგანეზის“ წარმომადგენლებს, მათ შორის მაღაროს ხელმძღვანელსა და გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმომადგენელს, რომლებმაც დაადასტურეს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ნზაობა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა წარმოედგინათ საკუთარი პოზიცია, განსაკუთრებით კი გაუმჯობესების გეგმასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაუმჯობესების გეგმაში წარმოდგენილი აქტივობები შესრულებადია, უფრო კონკრეტულად კი დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა, რომ შეიძენდა საჭირო რაოდენობის დემონსტრირების ციფრულ საშუალებებს 16 მაისამდე. დაწესებულებამ აღნიშნულ ვადამდე შეიძინა ციფრული საშუალება/პროექტორი, ადგილზეა წარმოდგენილი და აღნიშნული სასწავლო პროცესში იქნება გამოყენებული. მან აღნიშნა, რომ ციფრული საშუალებებიდან ერთი ჩუქებით ხელშეკრულებით გადაეცა დაწესებულებას და შესაბამისად ბალანსშიც იქნება ასახული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შენობის ცენტრალური გათბობის სისტემის უზრუნველსაყოფად ჯერ კიდევ აქვთ ვადა, შესაბამისად ეტაპობრივად მოხდება აღნიშნულის უზრუნველყოფა. შიდა და გარე სათვალთვალო კამერებზე კი განმარტა, რომ ანალოგიურად ჯერ აქვთ ვადა აღნიშნულის განხორციელებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ შეუძლიათ ეტაპობრივად, შესრულების პარალელურად წარმოადგინონ მტკიცებულებები. გარდა ამისა, ადაპტირებული სველი წერტილი, რომლის ვადადაც 16 სექტემბერი იყო განსაზღვრული, უკვე მოწყობილია და დაწესებულების მიერ წარდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები. დაწესებულებამ ასევე განაახლა კომპიუტერული პროგრამები გაუმჯობესების გეგმის შესაბამისად და ასევე, გააუმჯობესა კომპიუტერული მონაცემები. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი, არ ჰქონდა შემუშავებული სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვის და განკარგვის რეგულაცია, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის და განკარგვის რეგულაცია და ნარჩენების მართვის წესი. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად დაწესებულებას ვადა ჰქონდა 16 სექტემბრამდე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი და კომპლექსურად შეიმუშავეს სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტების შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტები დაწესებულები ვებგვერდზე არის ატვირთული და ხელმისაწვდომია დაინტერესების შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს განემარტა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია გათვალისწინებულია თუ არა მათ მიერ წარმოდგენილ დასკვნაში, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დასკვნაში ასახულია მხოლოდ ინფორმაცია, რაც ვიზიტის ფარგლებში დახვდათ დაწესებულებაში. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაუმჯობესების გეგმა ვიზიტის დროს, ადგილზე წარმოადგინა. სხდომის თავმჯდომარემ ასევე სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს განემარტა რამდენად ადეკვატურია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმა და შესაძლებელია თუ არა დაწესებულების მიერ მითითებულ ვადებში გეგმით გათვალისწინებული ყველა პუნქტის შესრულება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას გაუმჯობესების გეგმაში სხვადასხვა ვადით აქვს შესასრულებელი პუნქტები გაწერილი, რაც სრულიად შეესაბამება შესრულების რეალურ ვადებს. მან ასევე განმარტა, რომ გაუმჯობესების გეგმაში ვერ ნახეს ისეთი რამე, რაც მეტწილ შესაბამისობას საფრთხეს შეუქმნის. ასევე აღნიშნა, რომ 6 თვის ვადაში სრულიად შესაძლებელია შენობის ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვა, რადგან დაწესებულებას 4 სართულიანი შენობიდან მხოლოდ 2 აქვს დათმობილი უშუალოდ სასწავლო პროცესს.

საბჭოს წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვეს განემარტათ 2020 წლიდან ტარდებოდა თუ არა სასწავლო პროცესი ონლაინ ფორმატით და ასევე ექსპერტთა ჯგუფმა მოიკითხა თუ არა ამის შესახებ ინფორმაცია. ამას გარდა, 16 მაისის ვადით განსაზღვრული პუნქტი, რომელიც სტუდენტებისათვის კორპორაციული ელფოსტის შემქნას გულისხმობდა შესრულებულია თუ არა. ასევე, დაწესებულება დღეს არსებული რესურსებით არის თუ არა მზად მიიღოს ავტორიზაცია და განახორციელოს თავისი საქმიანობა. ასევე, რადგან დაწესებულებას ადრეც ჰქონდა ავტორიზაცია და რადგან გათბობის სისტემის აღჭურვაზე ახლა მიმდინარეობს საუბარი, როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება სტუდენტების გათბობას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, გათბობის სისტემის არსებობა ახალი სტანდარტებით მოთხოვნებს განეკუთვნება და დაწესებულება იქამდე იყენებდა ელექტრო გამათბობლებს. გაუმჯობესების გეგმაში გაწერილი ცენტრალური გათბობის სისტემით შენობის აღჭურვა კი სწორედ ახალ სტანდარტებს უკავშირდება. ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ უკვე რამდენიმე თვეა სასწავლო პროცესი დასრულდა, ამიტომ სტუდენტებს მოუწიათ თუ არა ონლაინ სწავლის პროცესში ჩართვა მისთვის უცნობია, თუმცა აღნიშნა, რომ მათ დამატებით დოკუმენტებთან ერთად გამოითხოვეს სტუდენტთა პორტფოლიოები, მათი შეფასების ინსტრუმენტების, ვერიფიკაციის და შეფასების შესახებ ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფს ამ მიმართულებით ხარვეზი არ დაუფიქსირებია. რაც შეეხება თანამშრომელთა შეფასებას მან განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებობს შეფასების პრაქტიკა, თუმცა ახალი მეთოდით მათი შეფასება ჯერ არ განხორციელებულა, სწორედ ამას ეხებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია. საბჭოს წევრებმა კიდევ ერთხელ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის განემარტათ, შესრულებადი იყო თუ არა დაწესებულების მიერ გაუმჯობესების გეგმით ნაკისრი ვალდებულებები გაწერილ ვადებში, რაზეც ექსპერტებმა განმარტეს, რომ აღნიშნული გეგმით ნაკისრი ვალდებულების შესრულება მითითებულ ვადებში რეალისტურია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი 16 და 18 მარტს განხორციელდა და დაწესებულებამ გაუჯობესების გეგმა 18 მარტს წარმოადგინა.

ცენტრის წარმომადგენელმა ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა გაუმჯობესების გეგმასთან დაკავშირებით განმარტა, რომ თუ დაწესებულების განაცხადში სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებული ჰქონდა როგორც სრულად, მაგრამ ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ დანახული ეს შეფასება ან მეტწილია, ნაწილობრივი ან შეუსაბამოადა ამას გაიაზრებს დაწესებულება, შესაძლოა შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა ვიზიტის დროსაც მიეწოდოს ექსპერტთა ჯგუფს, ასევე ცენტრის რეკომენდაციაა, რომ ეს გეგმა შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად და ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია, რომ აღნიშნული შეისწავლონ, განიხილონ და შესაძლოა ამის საფუძველზე შეცვალონ პირველადი შეფასება, რაც დასკვნის პროექტში ჰქონდათ ასახული. ეს დასაშვებია და მისაღებია. მან ასევე აღნიშნა, რომ როგორც ჩანს დაწესებულებას გადაწყვეტილი ჰქონდა გათბობისათვის ელექტროგამათბობლები გამოეყენებინა, მაგრამ ექსპერტთა მითითებების შემდეგ გაიაზრეს, რომ სტანდარტების დაკმაყოფილება მნიშვნელოვანია და ამის შემდეგ განსაზღვრეს შენობის ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვის ვადად 6 თვე. მან სთხოვა ექსპერტებს განემარტათ, თუ შეძლო დაწესებულებამ იმ 2 დღეში, როდესაც დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, რესურსების მობილიზება და არის თუ არა აღნიშნული დასაბუთებული და ასახული, ჩანს თუ არა ფინანსური რესურსი, რომლითაც მოხდება მეტწილი შესაბამისობის სრულამდე მიყვანა და იყო თუ არა დამაჯერებელი ამ რესურსების არსებობა. აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების ფინანსური რესურსი და მათ იმის საშუალებაც კი აქვთ, რომ თანამშრომლების წახალისების სისტემა ჰქონდეთ, ჯილდოები, პრემიები და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, რომ თუკი დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მსგავსი წახალისების სისტემა, ის მოახერხებს რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხისათვის, როგორიც ავტორიზაციის სტანდარტის დაკმაყოფილებაა, შეძლებს რესურსების მობილიზებას. საბჭოს

წევრებმა სთხოვეს ექსპერტთა ჯგუფის დაწესებულებას განემარტა, გაუმჯობესების გეგმაში მოცემული იყო თუ არა რესურსების გრაფა და მითითებულია თუ არა რა წყაროებიდან არის რესურსები მოპოვებული ან არის თუ არა მატერიალური დადასტურება აღნიშნული რესურსებისა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გაუმჯობესების გეგმაში რესურსების წყარო მითითებული არ არის, ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება ვადებზე გაამახვილა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას გააჩნია ფინანსური მზაობა შენობა აღჭურვოს ცენტრალური გათბობის სისტემით მითითებულ ვადაში. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება უკვე წლებია ამზადებს კადრებს „ჯორჯიან მანგანეზისთვის“ და დაწესებულების ფინანსური სტაბილურობის გარანტი სწორედ აღნიშნული კომპანიაა. მან განმარტა, რომ დაწესებულების ბალანსზე არსებული თანხა ყოფნის ყველა მიმდინარე ხარჯს და მათ შორის ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟსაც. ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს ხელშეკრულება კომპანიასთან, რომელიც შეძლებს სისტემის მონტაჟს. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ რადგან მათ უკვე აღებული აქვთ ვალდებულება, ისინი გაწერილ ვადაში უზრუნველყოფენ ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟს.
საბჭოს წევრებმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვეს დაეზუსტებინა, რა ტიპის სწავლება მიმდინარეობა პანდემიის დროს. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პანდემიის დაწყების პერიოდისთვის ზოგადი მოდულები უკვე გავლილი იყო, ხოლო პროფესიული მოდულების ონლაინ განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სპეციფიკიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს პროფიუნიტის ავტორიზაციის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:
შპს „პროფიუნიტს“ 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი.
შპს „პროფიუნიტს“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 1)**.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, რომ ექსპერტებმა დაადგინეს და საბჭოც დაეთანხმა, რომ პირველი სტანდარტი არის სრულად შესაბამისობაში, ასევე მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები, ხოლო მეხუთე სტანდარტის 2 კომპონენტი 5.2 და 5.3 არის მეტწილ შესაბამისობაში, გამომდინარე აქედან მეხუთე სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილი, ამიტომ საბჭომ შუამდგომლობით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რათა დაინიშნოს მონიტორინგი მეხუთე სტანდარტის გადამოწმების მიზნით. ასევე უნდა განისაზღვროს რა პერიოდში დაინიშნოს აღნიშნული მონიტორინგი, არაუმეტეს 6 თვის ვადისა. სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა ზუსტი თარიღის დასახელება. ქალბატონა ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებამ უნდა დაასახელოს თარიღი, თუ როდის ექნება დასრულებული გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხდა საბჭოს და წარმატებები უსურვა. მან განმარტა, რომ დაწესებულებას ყველაზე დიდი ვადა განსაზღვრული აქვს ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟისათვის, რომელიც არის 2021 წლის 16 სექტემბერი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვადად 16 სექტემბერი დაასახელა და აღნიშნა, რომ ამ პერიოდისათვის გათბობის სისტემის მონტაჟი და ყველა სხვა გათვალისწინებული აქტივობაც დასრულებული იქნება.
ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა დაწესებულებას მიმართა კითხვით, გაუმჯობესების გეგმის წარდგენიდან გასულ პერიოდში ანუ 2 თვეში გადაიდგა თუ არა რაიმე ნაბიჯი, რომლითაც ამ მიმართულებით რაიმე ეტაპი გაიარა დაწესებულებამ და სთხოვა დაედასტურებინა 16 სექტემბრამდე დარჩენილ პერიოდში ანუ 4 თვეში შეძლებენ თუ არა ყველა გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა დაწესებულების მზაობა განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობა. მან აღნიშნა, რომ გაუმჯობესების გეგმაში ყველა ხანგრძლივი და დიდი პუნქტი გათბობის სისტემის მონტაჟია, რომლის პროექტიც უკვე დასრულებულია და დაწესებულებას მოძიებული ჰყავს შემსრულებლები და რომ გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებულ გეგმას არანაირი რისკი არ ემუქრება.
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული იყო ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტები: 5.2., და 5.3.. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 16 სექტემბრიდან, მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

2. შპს - „არსისთვის" „ფარმაციის (სააფთიაქო)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი წარმოადგინეს ქალბატონმა ნაზო წიბლიაშვილმა და ქალბატონა მზია ბაკურიძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნაზო წიბლიაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს „არსში" განეხორციელებინათ დისტანციური ვიზიტი „ფარმაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე. პროგრამის დამატების მიზნით დაწესებულებას გამოგზავნილი ჰქონდა დოკუმენტები, ექსპერტთა ჯგუფმაც გამოითხოვა დამატებით დოკუმენტები, რომელიც დეტალურად შეისწავლეს. დაწესებულებასთან დისტანციური ჩართვა განხორციელდა 26 მარტს, გასაუბრება წარიმართა განრიგის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ბიბლიოთეკარს და პრაქტიკის ობიექტის ორ წარმომადგენელს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვერ მოხერხდა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე ერთ-ერთი პრაქტიკის ობიექტის „ემფარმას" წარმომადგენელთან. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლები დაწესებულებას ადგილზე ჰყავდა მოწვეული, ვერ მოხერხდა აფთიაქებიდან ჩართვა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ ძალიან გაუჭირდათ აფთიაქის გარემოსა და მათი აღჭურვილობის განსაზღვრა, რამდენად იყო შესაძლებელი ვიზუალურად დაეთვალიერებინათ გამტარუნარიანობა და ის მატერიალური რესურსი, რაც დანართის სახით იყო წარმოდგენილი და საჭიროა სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ თვითონ

დაწესებულებას ავტორიზაციის მეორე სტანდარტი შეფასებული აქვს მეტწილი შესაბამისობით, აქედან 2.2.1 (1), 2.2.1(3) და 2.3.1(1) კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2.2.1 კომპონენტი ეხება პრაქტიკის ბაზების დამატებას, რამაც ძირითადად განაპირობა რომ ექსპერტთა ჯგუფმა სტანდარტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით. 2.2.1(3) კომპონენტი ეხებოდა პროგრამის განმახორციელებლების ტრენინგებს შემდგომი განვითარებისთვის და ასევე 2.3.1 შეეხებოდა საუკეთესო ადგილობრივი და უცხოური გამოცდილებების გაზიარება/გაცნობას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქვს პასუხისმგებელი პირები, კომპონენტისთვის დასაკმაყოფილებელი ამოცანები და აქტივობები, გადანაწილებულია 2-დან 4 თვემდე და დაყოფილია ნაბიჯებად, ხოლო 2.2.1(3) კომპონენტისათვის განსაზღვრული აქვს ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა მეორე სტანდარტი დაწესებულებისთვის შეაფასეს მეტწილი შესაბამისობით. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით ერთხელ უკვე ეთქვა უარი, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა აღარ განიხილა რეკომენდაციების შესრულება და მათ თავიდან ბოლომდე შეისწავლეს დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განვითარების რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრული ჰქონდა 8 პროფესიული სტუდენტისათვის, ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილისაგან შედგებოდა. ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს მასწავლებლის სახელფასო ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის ხარჯს, კომუნალურ ხარჯს და სხვა ზოგად ხარჯებს (ინვენტარის შეძენა/გაუმჯობესება). ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა საპროგნოზო ბიუჯეტი და რენტაბელობის ზღვარი არარელევანტურად მიიჩნია, რადგან მასში გათვალისწინებული არ არის ადმინისტრაციის სახელფასო ანაზღაურება, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იმ ამოცანების ხარჯები, რომელიც ფინანსურ უზრუნველყოფას მოითხოვდა, კერძოდ, როგორიცაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის დამატება, პროფესიული სტუდენტების კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ადმინისტრაციის განვითარება. დაწესებულებას აღნიშნული გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმაში, თუმცა ბიუჯეტით მათი ფინანსური უზრუნველყოფა არ არის განსაზღვრული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ საჭიროა დაწესებულებამ რეალურად შეაფასოს ხარჯვითი ნაწილი და შესაბამისად განსაზღვროს რენტაბელობის ზღვარი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2.4.1.(4) კომპონენტთან მიმართებაში, დაწესებულებას დოკუმენტებში აცდენა ჰქონდა ტერმინოლოგიასთან სტრუქტურულ ერთეულებთან დაკავშირებით. აღნიშნულზეც გაიცა რეკომენდაციაში, რომ შესაბამისობაში მოსულიყო. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ 2.4.1.(5) კომპონენტთან მიმართებაში, რომელიც ეხება პარტნიორ დაწესებულებებს, გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებულია თარიღები, თუმცა არ აქვთ ნომერი მინიჭებული, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, რომ ხელშეკრულებები დაინომროს თარიღების შესაბამისად. ასევე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას დეტალურად აქვს გაწერილი უსაფრთხოების ზოგადი წესები, ლაბორატორიაში განთავსებული აქვს უსაფრთხოების წესები, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის უსაფრთხოებისთვის დაწესებულებას გაწერილი აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე ლაბორანტი, რომელიც აწარმოებს

სტუდენტთა ქცევის ზედამხედველობას ლაბორატორიაში, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება დადებულია მუდმივად, 2020 წლის 16 ნოემბერს. არსებობს ასევე შპს „არსის“ კუთვნილი ფართის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომელიც გაცემულია აკრედიტირებული ორგანიზაცია „მშენექსპერტის“ მიერ, შემოწმების თარიღი 29/02/2020. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ დაწესებულებას ლაბორატორიაში არ აქვს განთავსებული ცეცხლმაქრი. მან აღნიშნა, რომ უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე სასურველია დაწესებულებას აღნიშნული ჰქონდეს. ასევე დოკუმენტთან იყო სხვადასხვაობა, ერთი და იგივე დოკუმენტი წარმოდგენილი იყო ორი სხვადასხვა დანართით. აღნიშნულთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ მოეყვანათ შესაბამისობაში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება საკუთარ რეგულაციასთან მოდიოდა შეუსაბამობაში, „სასწავლო პროცედურათა წესის“ მიხედვით გაწერილი ჰქონდა, რომ აპელაციის პროცედურაში დაწესებულებას არ აქვს უფლება არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ იმავე დოკუმენტის მეცხრე მეორე ქვეპუნქტით გაწერილია, რომ სასწავლო დავალიანება არის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი და არა შეწყვეტის. შეწყვეტა ხდება, სტატუსის შეჩერებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება ფაქტობრივად არღვევდა საკუთარ რეგულაციას, გარდა ამისა, თავიანთი რეგულაციიდან გამომდინარე ერთი ან რამდენიმე მოდულის დაუდასტურებლობაც კი, სხვა მოდულის წინაპირობაც რომ იყო არ იწვევს სწავლების გაგრძელების შეუძლებლობას, ვერ გახდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი თუ არ იქნება თვითონ პროფესიული სტუდენტის განცხადებით მოთხოვნილი. დაწესებულებას უფლება აქვს შეუჩეროს სტატუსი აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე და გასცეს ცნობა გავლილი მოდულების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოთხოვილი აქვს 32 პროფესიული სტუდენტი, ზღვრული რაოდენობით განსაზღვრული, 2 სასწავლო წელზე, წელიწადში 16 სტუდენტი. დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს A, B და C გარემო. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ A და B გარემო უზრუნველყოფილია. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სამ აფთიაქთან ხელშეკრულება, აქედან ორ აფთიაქში (შპს „ემ ფარმა“ და შპს „იბერია ფარმა“), რომელსაც ერთს გააჩნია 3 ფილიალი, ხოლო მეორეს ორი ფილიალი, დაწესებულება გეგმავს 8 მოდულის გატანას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ვერც ერთი აფთიაქი ვერ დაათვალიერეს ვიზუალურად. ფოტომასალაზე დაყრდნობით კი შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელია პრაქტიკული ნაწილის განხორციელების უზრუნველყოფა აღნიშნულ აფთიაქებში. საბჭოს წევრებმა სთხოვეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს დაეზუსტებინა გაესაუბრნენ თუ არა აფთიაქების წარმომადგენლებს, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ორი აფთიაქის წარმომადგენლებს გაესაუბრნენ ვიზიტის ფარგლებში, ორივემ დაადასტურა მზადყოფნა მიიღოს სტუდენტები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკმაოდ ინტენსიური ინტერვიუ ჩატარდა აფთიაქების წარმომადგენლებთან და განმარტა, რომ მათ სჭირდებათ ტრენინგები შეფასების მიმართულებით და სწორედ ამ საკითხზე გასცა ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია. მან აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებში გაწერილია ყველა ის აღჭურვილობა, რაც აფთიაქში უნდა იყოს, გარდა ამისა, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს გაუმჯობესების გეგმა, სადაც წერს რომ აპირებს აფთიაქების დამატებას და პარტნიორობის გაფართოვებას, მიუხედავად ამისა ექსპერტთა ჯგუფმა მაინც მეტწილ შესაბამისობად შეაფასა დაწესებულება. საბჭოს წევრებმა სთხოვეს ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს დაეზუსტებინა ფინანსურ რესურსებთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას დაეთანხმა თუ არა დაწესებულება, რაზეც მან უპასუხა რომ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას აღნიშნულ საკითხზე არ იცნობდა.

სხდომის თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს სთხოვა წარედგინა საბჭოსთვის საკითხის დარჩენილი ნაწილი. დარგის ექსპერტმა ქალბატონმა მზია ბაკურიძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ყველა შესაბამისობაში იყო, თუმცა მან აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში მათ დაინახეს პრაქტიკის ობიექტის მზაობა მიეღოთ სტუდენტები, რადგან მიიღეს განმარტებები, რაც ასევე ხელშეკრულებაშიც გაწერილი აქვთ, იმის შესახებ თუ რამდენ სტუდენტს მიიღებენ, როგორ მიიღებენ და რა მატერიალური რესურსით უზრუნველყოფენ სწავლის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას. თუმცა, როგორც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, მათ ვიზუალურად ვერ დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები, თუმცა იხილეს დამამტკიცებელი მასალები, მათ შორის გამოგზავნილი და ვებგვერდზე განთავსებული ფოტოები, მაგრამ მხოლოდ ერთი პრაქტიკის ობიექტის. აღნიშნული შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. მან ასევე აღნიშნა, რომ გაუმჯობესების გეგმაში ასახულია ოთხი ნაბიჯი და მითითებულია ვადები, რაც მისასალმებელია, რადგან დაწესებულება აცნობიერებს განვითარების აუცილებლობას და ასრულებს დასახულნაბიჯებს იმ დროში, რა დროშიც აქვს გაწერილი. მან ასევე ისაუბრა პროფესიულ მასწავლებლებსა და პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლებზე და აღნიშნა, რომ ისინი საჭიროებენ დამატებით ტრენინგებს, რადგან ეს არის მუდმივი პროცესი, რაც ასევე გაუმჯობესების გეგმაშიც არის ასახული ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვანია მუდმივი განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს წარმოდგენილი მატერიალური რესურსისა და დოკუმენტაციის მიხედვით. მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მეტწილი შესაბამისობით შეფასება განპირობებული იყო იმით, რომ ვერ შეძლეს პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და შესაბამისად ზუსტი დასკვნის გაკეთება გამტარუნარიანობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია, თუ რამდენად ეთანხმებიან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, არის თუ არა ეს ასახული გაუმჯობესების გეგმაში და რას აპირებენ აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ წარმოადგინეს განვითარების გეგმას, რომელიც გაწერილია 4 თვეზე და ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ისინი წარუდგენენ ანგარიშს ცენტრს. მან აღნიშნა, რომ მათ 2016 წლიდან დაიწყეს საპილოტე რეჟიმში მოდულური პროგრამების დანერგვა, რადგან დაწესებულებას სურდა დროულად შესულიყო პროცესში. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას 2017 წლიდან ხელშეკრულებით ჰყავდა გარე ტრენერები მოწვეული, ყოველ წელს აქვთ შიდა ტრენინგები და ახლაც მარტში ხელშეკრულება გააფორმეს კონსულტირების ასოციაციასთან და დაწესებულება მუშაობს ამ მიმართულებით. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს ექსპერტებისა და ცენტრის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და იაზრებენ ამ პროცესის მნიშვნელობას.

საბჭოს წევრებმა სთხოვეს ექსპერტს განემარტა, რა შეიცვალა წინა დასკვნასა და ახლანდელს შორის, რადგან წინა დასკვნაში ყველა კომპონენტი იყო შესაბამისობაში, ერთადერთი შეუსაბამობა ფიქსირდებოდა კანონმდებლობასთან დაკავშირებით, მაშინ როცა ახლა მეტწილი შესაბამისობები დაფიქსირდა. მან სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა რა შეიცვალა ამ მიმართულებით და რამ გამოიწვია დასკვნებს შორის სხვაობა. დარგის ექსპერტმა აღნიშნულ საკითხზე განმარტა, ყველა მოდული გადამოწმდა და კანონმდებლობა ყველგან შეცვლილია მითითებულ ლიტერატურაში. რადგან წინა ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ დამატებით ობიექტებთან გააფორმეს ხელშეკრულებები და ექსპერტებმა ვერ შეძლეს ვიზიტის ფარგლებში მათი დათვალიერება გაჩნდა შეფასება - მეტწილი შესაბამისობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ შეაჯამა საკითხი და აღნიშნა, რომ ექსპერტებმა და დაწესებულების წარმომდგენლებიც დაეთანხმნენ აღნიშნულს, პირველი კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისობად, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილი შესაბამისობა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს გაუმჯობესების გეგმა და აღნიშნა, რომ ლოგიკური იქნება საბჭომ კენჭი უყაროს პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებას და შემდგომ უკვე მონიტორინგი მოითხოვონ.
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:
შპს „არსს“ (ს/კ: 216427999) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
(დანართი 2).
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული იყო ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტები: 2.2., და 2.3.. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 12 ოქტომბრიდან, მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

3. ა(ა)იპ - კოლეჯი „პრესტიჟისთვის“ „მევენახეობა-მეღვინეობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ექსპერტთა დასკვნა წარმოადგინეს ქალბატონმა თეა ლილუაშვილმა და ქალბატონა თამარ ახალაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ლილუაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 25 მარტს, დისტანციური ჩართვის სახით. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოების ფარგლებში შეისწავლა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს დოკუმენტები დაწესებულებისგან. ექსპერტთა ჯგუფი ჩართვის დროს გაესაუბრა, როგორც განმახორციელებელ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს, კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ასევე იმ საწარმოების წარმომადგენლებთან, რომლებიც თანამშრომლობენ კოლეჯთან პროგრამის განხორციელების ფარგლებში. პროგრამის განხორციელების ადგილია ქალაქი

თელავი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კოლეჯს სურს პროგრამა განახორციელოს დუალური მიდგომით, მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა იყო 50 სტუდენტი და თვითონ პროგრამის განხორციელება ეყრდნობა გარკვეულ კვლევებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჩატარებული აქვს კვლევა „მეცხოველეობა-მევენახეობისა და ვეტერინარია-მეცხოველეობის შრომის ბაზარი თელავის, ყვარლისა და ახმეტის მუნიციპალიტეტში“, პროგნოზირებული მოთხოვნა კი იყო შემდეგი: 61 მევენახის და 30 მეღვინის ვაკანსიის პროგნოზირება მოხდა აღნიშნული კვლევის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს გამოცდილება მეღვინეობის მიმართულებით საგნობრივი პროგრამის განხორციელების. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების დასაბუთების მიზნით დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა კურსდამთავრებულთა სტატისტიკა. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის დამატება შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიას. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქვთ როგორც დუალური მიდგომით პროგრამების განხორციელება, ასევე ახალი პროგრამების დამატება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამა შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტთან „მევენახეობა-მეღვინეობა“ და ასევე მოიცავს არჩევით მოდულს, რომელიც ასევე ჩარჩო დოკუმენტის ნაწილი და შესაბამისად შეესაბამება კვალიფიკაციას და მისაღწევ სწავლის შედეგებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა კომპონენტების მიხედვით. მან აღნიშნა, რომ 2.2.1. როგროც დაწესებულების, ასევე ექსპერტთა ჯგუფის შეფასება სტანდარტთან მიმართებაში არის სრულად შესაბამისი. მან ასევე აღნიშნა, კოლეჯის სასწავლო კორპუსში აღნიშნული პროგრამისთვის გამოყოფილია A და B ტიპის გარემო, რომელთა გამტარუნარიანობა არის 20 პროფესიული სტუდენტი. ასევე მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას იჯარის ხელშეკრულებით აღებული აქვს ვენახის ფართი, რომელიც გარდა იმისა რომ არის მსხმოიარე ვენახი, აქვს თავისუფალი მიწის ნაკვეთი ვენახის გასაშენებლად და C გარემოსთვის გააჩნიათ ტრაქტორი, შესაწამლი მოწყობილობა, სამუშაო იარაღები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან პროგრამა დუალურია, პრაქტიკული ნაწილი მთლიანად გატანილია დაწესებულებიდან პრაქტიკის ობიექტებზე, რომელიც დაწესებულების განმარტების მიხედვით, ძირითადად გამოყენებული იქნება მასტერკლასებისთვის. ასევე, დაწესებულება ამ მიმართულებით გეგმავს მოკლევადიანი მომზადების პროგრამის მომზადებას. საბჭოს წევრებმა სთხოვეს ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელს დაეზუსტებინა თუ რა წილს წარმოადგენს პრაქტიკული შედეგები მთლიანი შედეგებიდან, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული 50%-ზე მეტია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას პარტნიორობის მიზნით 7 კომპანიასთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული, რომელთა წარმომადგენლებსაც ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ. მან აღნიშნა, რომ კომპანიების წარმომადგენლების ნაწილი ადგილიდან ესწრებოდა ჩართვას, ხოლო ნაწილი ოფისებიდან, თუმცა ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები ზოგიერთ შემთხვევაში ხელმძღვანელთან და ზოგიერთ შემთხვევაში ინსტრუქტორებთან. მან ასევე აღნიშნა, რომ შერჩეული კომპანიებს უმრავლესობა ფლობს ISO და HACCAP საერთაშორისო სტანდარტებს. ხელშეკრულებებში გაწერილია პირობები სტუდენტთა მიღების შესახებ და რომ კომპანია თითოეული მიღების ფარგლებში შეძლებს არაუმეტეს 1-2 ან განსხვავებული რაოდენობების, რომელიც განსაზღვრული იყო სხვადასხვა ხელშეკრულებაში, სტუდენტის მიღებას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ორ კომპანიას აქვს მხოლოდ მეღვინეობის მიმართულება, შესაბამისად მევენახეობის კომპონენტს სტუდენტები ადგილზე ვერ დაფარავენ. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის კომპანიის წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ რადგან პროგრამა არის 3 წლიანი, ერთ მიღებაზე მიიღებს ხელშეკრულებით განსაზღვრული რაოდენობის სტუდენტს, მაგრამ ვიდრე ეს სტუდენტი არ დაასრულებს სწავლას იმ ადგილზე ახალი სტუდენტის მიღება ვერ მოხდება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ ცალკეულმა კომპანიებმა განმარტეს, რომ მომავალში გეგმავენ საკუთარი თანამშრომლების გადამზადებას

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განიხილავენ ასევე ახალი კადრების მიღების შესაძლებლობას. მან ასევე განმარტა, რომ საწარმოსა და დაწესებულებას შორის ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პირობები პროფესიული სტუდენტთან ორმხრივი ან სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. ხელშეკრულებაში ასევე გათვალისწინებულია პირობები სტუდენტთა ანაზღაურების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ადამიანური რესურსის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავს 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი ზოგადი მოდულების განსახორციელებლად და 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად. ასევე, თითოეული საწარმოს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საწარმოს მხრიდან ვალდებულება ინსტრუქტორის გამოყოფის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სწავლებას, ასევე ჩაერთვება შეფასების პროცესში. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, ერთი მევენახეობის მიმართულებით, ხოლო მეორე მეღვინეობის მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა საბიბლიოთეკო რესურსის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა მოდულებში მითითებული საბიბლიოთეკო რესურსის ფიზიკური არსებობა. ამ რესურსებიდან ნაწილი ელექტრონული, ნაწილი კი ბეჭდური სახით ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკას ასევე აქვს სამკითხველო დარბაზი, რომელიც კომპიუტერებითაა აღჭურვილი და სტუდენტებს ელექტრონული რესურსების გამოყენების შესაძლებლობაც აქვთ. ბიბლიოთეკა ასევე აღჭურვილია ასლგადამღები სისტემით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სტანდარტებთან მიმართებაში ყველა კომპონენტში შეაფასეს როგორც სრული შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფმა განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირა კვოტასთან დაკავშირებით, ვინაიდან მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა იყო 50 პროფესიული სტუდენტი და გამომდინარე იქიდან რომ საწარმოებმა აღნიშნეს, რომ სანამ ერთ მიღებაზე მიღებული სტუდენტი არ დაასრულებს სწავლას, ახალ სტუდენტს ვერ მიიღებენ, ასევე 2 დაწესებულების 2 საწარმოს მხრიდან გაირკვა რომ მხოლოდ მეღვინეობის კომპონენტში ფარავენ მოდულებს და მევენახეობის მიმართულებით წარმოება არ აქვთ, შესაბამისად, რაოდენობის განსაზღვრისას ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული ორი კომპანია არ მიუღია მხედველობაში, რათა სტუდენტებისთვის სრულად დაფარული იყოს ყველა ის უნარი, რაც უნდა გამოიმუშაონ პროგრამის ფარგლებში და ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა 15 პროფესიულ სტუდენტზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ რაოდენობას დაწესებულებაც დაეთანხმა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კახეთში ამ კოლეჯში იქნება მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამა. დაწესებულებას პირველად ექნება ეს პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა დარგობრივი ასოციაციის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა რომ ეს არის ძალიან საჭირო მიმართულება და ხელს შეუწყობენ ამ მიმართულების განხორციელებას. მან აღნიშნა, რომ პრეზენტაციაში ჩამოთვლილი კომპანიები საკმაოდ წარმატებული კომპანიები არიან მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში და ისინი მზად არიან რომ პირველ რიგში თავიანთი თანამშრომლები გადაამზადონ და ასევე მიიღონ უცხო სტუდენტები და ხელი შეუწყონ მათ მომზადებას. ჩანს ორმხრივი თანამშრომლობა.

სხდომის თავმჯდომარემ კოლეჯის წარმომადგენლებს სთხოვა, დაეფიქსირებინათ პოზიცია კვოტასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განიხილეს აღნიშნული საკითხი და რეკომენდაციას, რომელიც ექსპერტების მიერ გაიცა, ეთანხმებიან. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების პოზიცია თავდაპირველად გულისხმობდა რაც შეიძლება მეტი სტუდენტის გადამზადებას და ამ საკითხზე ჰქონდათ მოლაპარაკებები საწარმოებთანაც, თუმცა, ჩამოყალიბების შემდეგ მივიდნენ აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე, რასაც დაწესებულებაც ეთანხმება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ, ვითარებიდან გამომდინარე, მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ორმხრივი თანამშრომლობიდან იქნება გამომდინარე და ყველასთვის მისაღები იქნება.

საბჭოს წევრებმა სთხოვეს ექსპერტებს დაეზუსტებინათ, დაწესებულების მიერ ხომ არ გადადგმულა ნაბიჯი, რომელიც მოიძიებდა კომპანიას, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა პროგრამის ყველა კომპონენტის პრაქტიკული ნაწილის განხორციელებით, გამომდინარე იქიდან პარტნიორი კომპანიებიდან ორს არ აქვს მევენახეობის მიმართულება და ერთგვარად შეავსებდა ამ დანაკლისს, ამასთან სტუდენტების კვოტაში ეს ორი კომპანია გათვალისწინებული არ ყოფილა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ინტერვიუს ფარგლებში სხვა კომპანიის წარმომადგენლებს დაუსვეს კითხვა, იყვნენ თუ არა მზად მევენახეობის კომპონენტში დამატებით კიდევ მიეღოთ ახალ სტუდენტები, რაზეც კომპანიებმა უარი განაცხადეს. საბჭოს წევრებმა ასევე სთხოვეს დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს განემარტათ, გავლილი აქვთ თუ არა ინსტრუქტორებს ტრენინგები პედაგოგიკის მიმართულებით, იმისათვის რომ ისინი პროგრამის თანასწორუფლებიანი განმახორციელებლები არიან და ამ მიმართულებით მათი კვალიფიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტრუქტორებად ძირითადად იქნებიან საწარმოს წარმომადგენლები, ისინი მზაობას გამოთქვამენ რომ პროცესში აქტიურად ჩართვასთან დაკავშირებით, ხოლო კოლეჯი უზრუნველყოფს მათ გადამზადებას, რაც შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმაშიც არის მითითებული, რომ მოხდება ინსტრუქტორების გადამზადება და ტრენინგები ჩატარდება, ასევე როგორ და რა სახით უნდა განახორციელონ მათ ეს სწავლება და ამისთვის მზად არიან როგორც კოლეჯის, ასევე საწარმოს წარმომადგენლები. მან ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე კომპანიას უკვე აქვს მსგავსი თანამშრომლობის გამოცდილება სხვა კოლეჯის სტუდენტებთან, გავლილი აქვთ ტრენინგები და ჩართულები იყვნენ სწავლების პროცესში სხვა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯი „პრესტიჟისთვის“ „მევენახეობა-მეღვინეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟს“ მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მევენახეობა-მეღვინეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დუალური მიდგომით **(დანართი 3).**

4. ა(ა)იპ - კოლეჯ ,,ჰორიზონტის" ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინეს ბატონმა მიხეილ სამხარაძემ და ბატონმა ირაკლი სალუქვაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ბატონმა მიხეილ სამხარაძემ განმარტა, რომ ვიზიტის საფუძველი გახდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომის ცვლილება. ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად. მან აღნიშნა, რომ კოლეჯს დამატებული აქვს მესამე დონის საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“, რომლის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში. მან განმარტა, რომ ამ დროისათვის კოლეჯი აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს მოდულურად და დაწესებულებას სურს ავტორიზაციის საბჭოს მიერ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში შეიცვალოს განხორციელების ფორმა. ამ დროისათვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კვოტა 20 პროფესიული სტუდენტით და დაწესებულებას სურს 15 ადგილი იყოს მოდულური მიდგომით განხორციელებისთვის, ხოლო 5 დუალურისთვის. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილების ძირითად საფუძველს წარმოადგენს ის, რომ კოლეჯს შპს „ეარნეტმა“ მიმართა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სწავლების პროცესი დუალური მიდგომით ყოფილიყო განხორციელებული, უფრო კონკრეტულად კი აქვთ სურვილი მოცემული პროგრამა 5 სტუდენტთან განახორციელონ დუალური მიდგომით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაუსაუბრდნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, განმახორციელებლებს და ასევე კომპანიის წარმომადგენლებს. მან განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა ჯგუფმა მხოლოდ 2.1. და 2.2. კომპონენტები შეამოწმეს და აღნიშნა, რომ შემოწმებისას არც ერთ სტანდარტთან შეუსაბამობა არ გამოვლენილა. აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულებას სრულად აქვს შესაბამისობა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა სტრატეგიული განვითარების გეგმაზე. მან აღნიშნა, რომ სტრატეგიული გეგმა მოიცავდა მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და განხორციელების ვადებს, თუმცა მასში არ იყო განსაზღვრული ამოცანების შესაბამისი ინდიკატორები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, დაწესებულებას გაცნობიერებული ჰქონდა აღნიშული საკითხი, ხოლო გასაუბრების ფარგლებში წარმოადგინეს 2021 წლის 9 თებერვლის N06-06 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გულისხმობს სტრატეგიული განვითარების გეგმის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას ექვსი თვის ვადაში. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ წარუდგინა შეცვლილი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც განსაზღვრული იყო ამოცანების შესაბამისი შესრულების ინდიკატორები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა, ასევე ექსპერტთა ჯგუფის არ გაუცია შესაბამისობის რეკომენდაცია, გასცა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები, რომლიდანაც ერთი შეეხება შპს „ეარნეთთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას. რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია აღნიშნულ ხელშეკრულებაში აისახოს სტუდენტების კონკრეტული რაოდენობა, რომლის მიღებაც ერთდროულად შეუძლია კომპანიას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომპანიის წარმომდგენელთან გასაუბრებისას მათ დაადასტურეს მზაობა და სურვილი ხელშეკრულების ფარგლებში მიიღონ 5 სტუდენტი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მეორე რეკომენდაცია ტექნიკური ხასიათის საკითხებთან დაკავშირებით გაიცა, უფრო კონკრეტულად კი გარკვეულ დოკუმენტებში ნუმერაცია იყო არეული, ასევე, უშუალოდ პროგრამის დანართში ერთი და იმავე ნუმერაციით იყო როგორც დუალური ისე მოდულური

მიდგომისთვის განკუთვნილი სასწავლო გეგმები და განმახორციელებლები, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ სასურველია გამოსწორდეს აღნიშნული ტექნიკური უზუსტობები.
დარგის ექსპერტმა ბატონმა ირაკლი სალუქვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება არის Netacad – ის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელიც წარმოადგენს პლატფორმას, სადაც განთავსებულია ის რესურსები, რაც „ინფორმაციის ტექნოლოგიების“ პროგრამას ესაჭიროება, ეს არის საგანმანათლებლო რესურსები, თავისი პრაქტიკული დავალებებით და სხვა ყველა საჭირო რესურსით და კოლეჯი დიდი ხანია „Cisco”-ს ოფიციალური პარტნიორია დეტაკადის ფარგლებში და დაწესებულებამ ნამდვილად დაადასტურა, რომ გააჩნია ის შესაბამისი ელექტრონული მასალები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას, ისევე როგორც შპს „ეარნეტს“ კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული ეს ყველაფერი, რაც ჩანდა სწავლის შედეგების განაწილებაში, მათ გათვალისწინებული ჰქონდათ შპს „ეარნეტის“ სპეციფიკა და შესაბამისად მოდულები, რომელიც არ მოიცავს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხორციელდება უშუალოდ კოლეჯში. დარგის ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ პროგრამა ძირითადად სამ მიმართულებას მოიცავს, ქსელი, ოპერაციული სისტემები და არქიტექტურა. ის საგნები, რომელიც მოიცავს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მთლიანად გატანილია კომპანიის ფარგლებში. მან ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა ანაზღაურების საკითხიც.
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა კოლეჯის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯის მხრიდან პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელება უკვე მისი ძლიერი მხარეა, რასაც ხელს უწყობს ასევე საიმედო პარტნიორის ყოლა, ამასთან საწარმოს მხრიდან წარმოდგენილნი არიან კვალიფიციური ინსტრუქტორები, რომელთაგან ერთ-ერთს სწავლების საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, რაც მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პროგრამის ძლიერი მხარეა. მან ასევე აღნიშნა, დაწესებულება თანამშრომლობს GIZ-თან, რაც ითვალისწინებს ამ მიმართულებით მეხუთე დონის პროგრამების დამატებას და კოლეჯის მეტად განვითარებას IT ტექნოლოგიების მიმართულებით.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტში“ „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №147 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტის“ავტორიზაციის შესახებპროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №147 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 4).**

5. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტის" „კომპიუტერული ქსელი და სისტემების". „სარესტორნო მომსახურების", „ელექტროობის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა მანანა მოისწრაფიშვილმა, ბატონმა დავით გუდაძემ, ბატონმა იაზონ დანელიამ და ქალბატონა ნანა შათირიშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა მოისწრაფიშვილმა განმარტა, რომ 2020 წლის 3 აგვისტოს საბჭოს 3 გადაწყვეტილებით დაწესებულებას ზემოთჩამოთვლილი სამივე პროგრამის განხორციელების უფლება აქვს, კვოტით 30-30 სტუდენტი, თუმცა მათ შორის გამოყოფილი იყო მხოლოდ 15-15 სტუდენტი ინტეგრირებული სწავლებისათვის. მან აღნიშნა, რომ 2021 წლის 17 მარტს კოლეჯ „ჰორიზონტის“ დირექტორმა მიმართა ცენტრს წერილით, რომლის მიხედვითაც, დაწესებულებას სურს აღნიშნული 15-15 არაინტეგრირებული სწავლების პროფესიული სტუდენტების კვოტის გადაეტანა ინტეგრირებული სწავლებისათვის კვოტის საერთო ჯამში ცვლილების გარეშე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიზანი იყო ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. მან აღნიშნა, რომ შესაბამისად განისაზღვრა დღის წესრიგი და პროცედურები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული კომპონენტის შემოწმების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: სტანდარტთან სრული შესაბამისობა, რეკომენდაციები არ გაცემულა, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები შესწავლილია და აღნიშნულთან დაკავშირებით ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ელექტროობის“ პროგრამაზე დაწესებულებას ჰყავს 11 აქტიური პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სწავლებისთვის, „სარესტორნო მომსახურების“ პროგრამაზე 14 აქტიური პროფესიული სტუდენტი, ხოლო „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამაზე 13 პროფესიული სტუდენტი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას სტატუსშეჩერებული და სტატუსშეწვეტილი სტუდენტები არ ჰყავს. ინტერვიუს პროცესში ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ რეგიონში ინტეგრირებული სწავლება გახდა ძალიან მოთხოვნადი და პოპულარული, კოლეჯში მომართვიანობა გაიზარდა, რის საფუძველზეც დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სრული კვოტის დათმობა ინტეგრირებული სწავლებისათვის იქნება მნიშვნელოვანი და სასარგებლო, როგორც დაწესებულებისთვის, ისე რეგიონისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულური ფორმით ხორციელდება, ხოლო მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა არის 30, ყველა ინტეგრირებული სწავლებისათვის. მან აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას მოწყობილი აქვს ერთი A, ერთი B, ერთი A/B დაორი C გარემო. რადგან დაწესებულება უკვე ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ინტეგრირებული მოდულის - მეცნიერება და ტექნოლოგიები - განხორციელების რესურსზე და განმარტა, რომ ჯამში სამივე პროგრამაზე 90 სტუდენტის ინტეგრირებული სწავლებისთვის განმსაზღვრელი იყო C გარემო/ლაბორატორია, რომელიც არის მეცნიერება და ტექნოლოგიის მოდულისთვის

განკუთვნილი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ აქვს დამატებული C გარემო, აქვს ერთი C გარემო. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა C გარემოს დატვირთვის გეგმა, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს რომ დაწესებულებას შეუძლია ერთდროულად 2 ცვლაში, ასევე შეჭრილი გრაფიკით სწავლება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე 3 ჯგუფისთვის თითო ცვლაში, შეჭრილი გრაფიკის გამოყენების საჭიროება არ აქვს, რადგან სასწავლო გეგმები 3-3 წელიწადზე გაწერილი, ხოლო მეცნიერება და ტექნოლოგიის მოდული გაჭიმულია ისეთ ვადაზე, რომ მაქსიმუმ სამივე პროგრამის ყველა ანუ 6 ჯგუფისთვის ჯამური დატვირთვა 25 საათს არ აღემატება, ხოლო C გარემოს დატვირთვა შესაძლოა იყოს 40 საათი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რისკი იმისა, რომ C გარემო ვერ გაატარებს ჯგუფებს არ არსებობს. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას დამატებული ჰყავს 2 მასწავლებელი ინტეგრირებული მოდულისთვის, უფრო კონკრეტულად მოქალაქეობის მოდულისთვის. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ახალ მასწავლებლებს, შეისწავლეს მათი პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მასწავლებლები შერჩეული იყვნენ განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ასევე გავლილი აქვთ ინტეგრირებული მოდულის მასწავლებლებისათვის დადგენილი ტრენინგი, დასტურდება მათი კვალიფიკაცია. მან განმარტა, რომ ინტეგრირებული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა არანაირ პრობლემას არ შეუქმნის დაწესებულებას.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში ერთობლივად დათვალა, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი გაზრდილი კვოტის ფარგლებში ინტეგრირებული მოდულების განხორციელება და სწორედ აღნიშნული, შეჯერებული ინფორმაცია წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ. მან ასევე განმარტა, რომ დარგობრივ ნაწილში, პირადი საქმეები მასწავლებლების კომპეტენციის ფარგლებში არის სრულფასოვანი და შესაბამისი. ასევე, აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია და უდასტურდება კომპეტენცია.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და აღნიშნა, რომ ყველაფერი მოხდა თანმიმდევრულად, კვალიფიციურად.
ცენტრის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა, საბჭოს განუმარტა, რომ აღნიშნული წარმოება და წინა საქმისწარმოებაც მონიტორინგით წარიმართა, რადგან ამ ეტაპზე დებულება არ ითვალისწინებს რაიმე კონკრეტულად დასახელებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც იცვლება შიდა კვოტა მხოლოდ ინტეგრირებულზე და არა მთლიანი კვოტა, ასევე როდესაც იცვლება პროგრამის განხორციელების ფორმა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №653993 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიულისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №653993 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 5.1)**.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტში“ „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №653994 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ (ს/კ: 237079497) „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ **„სარესტორნო მომსახურების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიულისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №653994 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 5.2).**

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტში“ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №653996 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ (ს/კ: 237079497) „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ **„ელექტროობის“** პროფესიულ ი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №653996 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 5.3).**

17:05 საათზე სხდომა დატოვა გიორგი ხიშტოვანმა.

6. სსიპ - კოლეჯ ,,ფაზისის" ,,ე;ექტროობის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ნანა შარაბიძემ და ბატონმა დავით გუდაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნანა შარაბიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციით განსაზღვრული ჰქონდა 13 პროფესიულ სტუდენტით ზღვრული რაოდენობა, ხოლო დაწესებულების მიერ დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა არის 13, ჯამში 26 პროფესიული სტუდენტი, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა. მან განმარტა, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის აქვს A, B და A/C გარემო შესაბამისად გათვლილი 15, 22 და 13 პროფესიულ სტუდენტზე და რაც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა მატერიალური რესურსი და გაეცნო დოკუმენტაციას., რომელიც ასევე სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნას.ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ და შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯიასთან“. მან აღნიშნა, რომ ამ ობიექტებზე ძირიტადად სსასწავლო ექსკურსიები ხორციელდება და არა პროგრამის რომელიმე პრაქტიკული კომპონენტი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ადამიანურ რესურსზე, რომელიც შედგება 18 მასწავლებლისგან, მათ შორის 9 - დარგობრივი, რაც მისი განმარტებით, აკმაყოფილებს მოთხოვნას. მას ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის გადამოწმება აჩვენებს, რომ აღნიშნულიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საგანმანათლებლო რესურსი და აღნიშნულიც სრულად შეესაბამება მოთხოვნას, ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტიც გაზრდილ რაოდენობაზეც მისი ფინანსური მდგრადობისთვის დათვლილია. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო C გარემოს ამსახველი ფოტომასალა, რომელიც 13 პროფესიულ სტუდენტზეა გათვლილი და დაწესებულება ითხოვს სწავლის პროცესის განხორციელებას 2 ცვლაში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას „ელექტროობის“ პროგრამაზე თავიდანვე მიღებული ჰქონდა გაორმაგებული რაოდენობა - 26, თუმცა კვოტა გადანაწილდა მათსავე ფილიალში და გადანაწილების შემდეგ

მათ დარჩათ მხოლოდ ერთ ცვლაში სწავლის განხორციელების საშუალება. მან განმარტა, რომ აღნიშნული კვოტა თავიდანაც დათვლილი იყო და რეკომენდაციები და შენიშვნები არ გაცემულა, შესაბამისად დაწესებულება მზად არის სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის მისაღებად. დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას მატერიალური და სასწავლო რესურსი დარჩა იგივე, ხოლო სტუდენტების გაზრდილი რაოდებობა გადანაწილდება 2 ცვლაზე.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „ელექტროობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ დანართით განსაზღვრულ „ელექტროობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 26-ით **(დანართი 6).**

7. სსიპ - კოლეჯ ,,ფაზისის" ,,შედუღების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ნანა შარაბიძემ და ქალბატონმა ირმა ღარიბაშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნანა შარაბიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციით მინიჭებული ჰქონდა 15 პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, ხოლო დაწესებულების მიერ დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა არის 15, ჯამში 30 პროფესიული სტუდენტი, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს A გარემო - 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი, B გარემო - 22 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი და C გარემო - 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა C გარემოზე. მან აღნიშნა, რომ C გარემოში განთავსებულია 5 შედუღების კაბინა 15 პროფესიულ სტუდენტზე. მან ასევე აღნიშნა, რომ მატერიალური რესურსი და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც შესულია ცვლილებები და ასახულია პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობა, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავს 9 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 3 დარგობრივი, პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ისევე როგორც პროგრამაზე გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი და პროგრამის ბიუჯეტი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს დაათვალიერებინა უკვე

აშენებული სახელოსნო, რომელიც მალე გაიხსნება და შედუღებისთვის გათვალისწინებული სივრცე გადატანილი იქნება დაწესებულების ეზოში განთავსებულ სახელოსნოში. მან განმარტა, რომ ვიზიტის დროს სახელოსნოს მხოლოდ მოსაპირკეთებელი სამუშაოები იყო დარჩენილი, სხვა სამუშაოები კი დასრულებული იყო.
დარგის ექსპერტმა საბჭოს გააცნო ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ორი განმავითარებელი რეკომენდაცია გასცა, რომლიდანაც პირველის მიხედვით, სასურველია კოლეჯმა შიდა რეგულაციებში დეტალურად აღწეროს პროგრამის შემუშავების პროცესი და საქმიანობისას იხელმძღვანელოს ამ პროცესით, რათა მომავალში გამოირიცხოს ხარვეზები. მან განმარტა, რომ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები, რადგან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში მითითებული იყო, რომ პრაქტიკული კომპონენტის გატანა მოხდებოდა 3 მოდულის ფარგლებში, ხოლო მოდულების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ დამატებით ერთი მოდულში, კონკრეტულად კი „შედუღება ვოლფრამის ელექტროდით ინერტულ აირში“, მითითებული იყო პრაქტიკული კომპონენტის გატანის შესახებ, თუმცა აღნიშნული მოდული მემორანდუმებში არ იყო მითითებული. საბჭოს წევრებმა სთხოვეს ექსპერტს დაეზუსტებინა საუბარი იყო კონკრეტული პროგრამის შემუშავების რეგულაციაზე თუ ზოგადად პროგრამის შემუშავების რეგულაციაზე. აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას პროგრამის შემუშავების რეგულაცია აქვს, თუმცა ამ კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებაში სასურველია იხელმძღვანელონ ერთნაირი მიდგომით, თუკი დაწესებულება გადაწყვეტს მოდულში მიუთითოს რა გააქვს პრაქტიკის ობიექტზე, მაშინ აღნიშნული მითითებული უნდა იყოს ყველა მოდულში. აღნიშნულ საკითხზე ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს განუმარტა, რომ რეკომენდაციის ზოგადი ხასიათი განპირობებულია ექსპერტებისთვის ცენტრის მიერ მიცემული მითითებით, რომ რეკომენდაცია არ იყოს ძალიან კონკრეტული და იყოს მართლაც განვითარებაზე ორიენტირებული. მან ასევე აღნიშნა, რომ ქალბატონ ირმას ეს ყველაფერი აღწერით ნაწილში აქვს გავრცობილი, თუ საიდან მოდის აღნიშნული განმავითარებელი რეკომენდაცია. დარგის ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა მეორე რეკომენდაცია, რომლის მიხედვით სასურველია, მემორანდუმებს დაერთოს კიდევ ერთი დანართი, იმ ხელსაწყო-დანადგარების მითითებით, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის გავლას და სწავლის შედეგების დადასტურებას. მან განმარტა, რომ მემორანდუმი ეს არის ზოგადი ხასიათის ურთიერთშეთანხმების პირობა, თუმცა ამ კონკრეტულ მემორანდუმებს დანართის სახით აქვთ წარმოდგენილი - ხელშეკრულების გაფორმების საწყის ეტაპზე იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც მიიღებს კომპანია პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად, ხოლო დამატებითი შეთანხმება მოიცავს სტუდენტთა გაზრდილ რაოდენობას, რომელსაც მიიღებს კომპანია. მან განმარტა, რომ სწორედ აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია, რომ მემორანდუმებში დანართის სახით წარმოდგენილი იყოს ხელსაწყო-დანადგარების ჩამონათვალი. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა, მატერიალურ რესურსის დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს პროგრამოს დანართს იყო თუ არა მითითებული C გარემოს შემთხვევაში, რომელ რესურს ფლობს დაწესებულება და რომელი რესურსი არის წარმოდგენილი პრაქტიკის ობიექტზე. მან დაამატა, რომ ასეთი ინფორმაცია, როგორც წესი, არის აღნიშნულ დოკუმენტში.დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული ინფორმაცია მატერიალური რესურსის ჩამონათვალში არსებობს, თუმცა რეკომენდაცია ეხება იმ ინვენტარის დამატებით, მემორანდუმის დანართად წარმოდგენას, რომელთან მუშაობაც მოუწევს პროფესიულ სტუდენტს, რათა უფრო გამჭვირვალე იყოს ექსპერტისთვის.
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეფიქსირებინათ პოზიცია. მან კომენტარი გააკეთა მიღებულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა აღნიშნული და მემორანდუმებს დანართის სახით დამატებული აქვს იმ აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილია საწარმოო პრაქტიკის ადგილზე. ასევე, მეორე რეკომენდაციასთან

დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებას სულ 3 მემორანდუმი აქვს გაფორმებული და ორში პირდაპირ წერია მოდულები, რომელშიც ტექნიკურად გამორჩენილი იყო მეოთხე მოდული, ხოლო მესამე მემორანდუმს დანართის სახით ჰქონდა, სადაც ოთხივე იყო მითითებული. მან განმარტა, რომ აღნიშნული გასწორებულია.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“დანართით განსაზღვრულ „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 30-ით **(დანართი 7).**

8. სსიპ - კოლეჯ ,,ფაზისის" ,,თმის მომსახურების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ნანა შარაბიძემ და ქალბატონმა ნატალია დარჩინიანმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნანა შარაბიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციით განსაზღვრული ჰქონდა 10 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა, ხოლო დაწესებულების მიერ დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა არის 10, ჯამში 20 პროფესიული სტუდენტი, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა, ვინაიდან დაწესებულება აკმაყოფილებს ყველა შესაბამის მოთხოვნას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციურად დაათვალიერა, ყველა პრაქტიკის ობიექტი და გაესაუბრნენ ყველა მათგანის წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, რომ ყველა პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახულია სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობა. ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ პრაქტიკის ობიექტები შეძლებენ გაორმაგებული სტუდენტთა რაოდენობის მიღებას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ადამიანურ რესურსზე, რომელიც შედგება 21 მასწავლებლისგან, მათ შორის 9 - დარგობრივი, რაც მისი განმარტებით აკმაყოფილებს მოთხოვნას. მას ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის გადამოწმება აჩვენებს, რომ აღნიშნულიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საგანმანათლებლო რესურსი და აღნიშნულიც სრულად შეესაბამება მოთხოვნას, ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტიც გაზრდილ რაოდენობაზეც მისი ფინანსური მდგრადობისთვის დათვლილია. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა A და B გარემო და აღნიშნული აკმაყოფილებს

მოთხოვნას, მატერიალური რესურსი საკმარისია იმ სტუდენტთა რაოდენობისთვის, რომელსაც ითხოვს დაწესებულება.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) დანართით განსაზღვრულ „თმის მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 20-ით **(დანართი 8).**

9. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის ,,ვეტერინარიის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა თეა ლილუაშვილმა და ქალბატონმა ირმა არსენიშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა თეა ლილუაშვილმა განმარტა, რომ კვოტის გაზრდა გამოწვეულია პროგნოზირებული მოთხოვნით, რომ გაიზრდება მოთხოვნა ვეტერინარიის პროგრამაზე დასაქმების კუთხით, რადგან მიმდინარეობს ახალი საწარმოების გახსნა, მათ შორის ფერმების და ძაღლსაშენის. გარდა ამისა, აპლიკანტების მხრიდან პროგრამაზე, მოთხოვნა, ვერ კმაყოფილდებოდა კოლეჯის მიერ. მან განმარტა, რომ აღნიშნული გამყარებული იყო კოლეჯსა და საწარმოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით, ხოლო სტატისტიკური ინფორმაცია ზეპირი სახით იყო ექსპერტებისთვის მიწოდებული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ პროგრამა ხორციელდება ქალაქ გორში, მოდულური მიდგომით და დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა არის 60, ხოლო ავტორიზაციის გადაწყვეტილების მიხედვით ზღვრული ოდენობა არის განსაზღვრული 30 პროფესიული სტუდენტით. მან განმარტა, რომ თვითონ პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის დაწესებულებამ გაზარდა სასწავლო ფართი იმავე მისამართზე, რის საფუძველზეც პროგრამის განხორციელებისთვის დაამატა მატერიალური რესურსი, მათ შორის გაზრდილია A ტიპის გარემოს რაოდენობა. ამ ეტაპზე აქვთ სამი A ტიპის გარემო უშუალოდ ამ პროფესიული პროგრამისთვის და თითოეული გათვლილია 20 სტუდენტზე, ასევე დაწესებულებას აქვს ერთი C გარემო, რომელიც გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე და ერთი B გარემო, რომელიც ასევე 20 სტუდენტზეა გათვლილი და გამოიყენება სხვა პროგრამებისთვისაც, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ B გარემოში მხოლოდ ერთი ზოგადი მოდული ხორციელდება, სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობა ხელს არ უშლის B გარემოს გამტარუნარიანობას. მან აღნიშნა, რომ კოლეჯს ჰყავს 11 პარტნიორი ორგანიზაცია.

სხვადასხვა მოდულთან მიმართებაში სხვადასხვა ორგანიზაციასთან არის ხელშეკრულება გაფორმებული და თითოეული მოდულის ფარგლებში მინიმუმ 20 სტუდენტისთვის უზრუნველყოფილია განხორციელება ერთ მიღებაზე. საბჭოს წევრებმა სთხოვეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს განემარტა, თუ რამდენი ორგანიზაცია დაემატა დაწესებულებას სტუდენტთა გაზრდილი მოთხოვნის ფარგლებში. აღნიშნულზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ზოგიერთ ორგანიზაციაში ადგილების რაოდენობა იყო გაზრდილი, დაემატა ახალი ორგანიზაციებიც და თითო მოდულის ფარგლებში ერთ მიღებაზე მინიმუმ 20 სტუდენტი იფარება, ზოგიერთ მოდულზე ერთდროულად 40 სტუდენტის მიღების შესაძლებლობაა, თუმცა 20 არის მინიმალური რაოდენობა, რასაც ფარავს. ასევე, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დაიმატა 3 ახალი პროფესიული მასწავლებელი დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერეს C გარემო, რომელიც წარმოადგენს ლაბორატორიას და არის შესაბამისად დაცული სახანძრო უსაფრთხოება, წარმოდგენილი იყო გამწოვი კარადა, ცეცხლმაქრი.
საბჭოს წევრებმა სთხოვეს დაეზუსტებინათ გაესაუბრნენ თუ არა იმ დაწესებულების წარმომადგენლებს, სადაც კლინიკური სწავლების მოდულები უნდა განხორციელდეს და რა დასკვნა გააკეთეს მათი კვალიფიკაციის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ზოგი მათგანი დაწესებულებაში ისედაც ჩართულია მასწავლებლის სტატუსით და ექსპერტთა ჯგუფი უშუალოდ გაესაუბრა მათ, მათ აქვთ როგორც დარგობრივი, ისე სწავლებისა და შეფასების გამოცდილება.მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, ერთი მიღების ფარგლებში 20 პროფესიული სტუდენტის მიღება - პროგრამა გაწერილია სამ წელზე.
დარგის ექსპერტმა დაადასტურა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა და დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ძირითადად მატერიალური რესურსი და აღნიშნული აკმაყოფილებს მოთხოვნას. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა განმახორციელებლების კვალიფიკაცია და აღნიშნულიც აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, მათ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა, უნარი და გამოცდილება, რათა მოამზადონ სპეციალისტები. დარგის ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერეს კლინიკური მოდულების განსახორციელებლად განკუთვნილი პრაქტიკის ობიექტები, რომელიც ასევე აკმაყოფილებს მოთხოვნას.
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიცია. დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა მეირ წარმოდგენილ დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს - საზოგადოებრივ კოლეჯი ამაგისთვის „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შპს - საზოგადოებრივ კოლეჯს ამაგს დანართით განსაზღვრულ „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით **(დანართი 9).**

17:46 საათზე სხდომა დატოვა მაგდა ბოლოთაშვილმა.

10. სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა თამარ რემიშვილმა და ბატონმა ჯიმშერ მაისურაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ რემიშვილმა განმარტა, რომ კვოტის გაზრდის საფუძველი გახდა ის, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები ორ დაწესებულებასთან, საქართველოში ერთ-ერთ წამყვან ობიექტებთან, რომლებმაც წერილობით სთხოვეს დაწესებულებას კვოტის გაზრდა 30 სტუდენტით. პროგრამაზე კოლეჯს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 15-ით. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა სრული შესაბამისობა. მან განიხილა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. პირველი რეკომენდაცია ითვალისწინებდა შემდეგს: „რეკომენდირებულია, დაწესებულებაში კვლევები ჩატარდეს არა მხოლოდ შეფასების მიმართულებით, არამედ მოხდეს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რათა გამოიკვეთოს მათი საჭიროებები“ - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი კვლევების ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია, თუმცა აღნიშნულ საკითხზე აქტიურად მუშაობს წლის მანძილზე. მან აღნიშნა, რომ განახლდა გამოკითხვის ფორმები და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით კოლეჯი ეტაპობრივად დაიწყებს გამოკითხვებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული მეორე რეკომენდაციაც, რომლიც მიხედვითაც „დაწესებულებამ კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მარეგულირებელი დოკუმენტები (ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი) შესაბამისობაში მოიყვანოს დებულების სახელწოდებასთან; დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს საქმისწარმოების მარეგულირებელი დოკუმენტი დაწესებულების სახელწოდებასთან და ახალ სტანდარტებთან.“ აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული არ არის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეიცვალა სახელი და ეწოდება სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“, დოკუმენტების ნაწილი ძველი სახელითაა დარჩენილი, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია სახელწოდების შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა იმ რეკომენდაციებზე, რომელიც მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში გაიცა. მან განმარტა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ითვალისწინებს უმოკლეს ვადაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის მიმართვას, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის აღების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შემდეგი რეკომენდაცია ტექნიკური ხასიათის იყო, რაც გულისხმობდა რომ დაწესებულებამ დააყენოს ინიცირება სსიპ განათლების ხარისხსი განვითარების ეროვნულ ცენტრში, რათა ცვლილება შევიდეს ჩარჩო დოკუმენტში და გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ საწარმოო პრაქტიკის

მოდულში საათების განაწილების ფორმაში გასწორდეს-შეიცვალოს საკონტაქო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა, ვინაიდან საკონტაქტო საათებში მითითებულია დამოუკიდებელი და პირიქით. შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ საკონტაქტო საათების რაოდენობა ნულის ტოლია. საკონტაქტო საათების იგივე რაოდენობა გადატანილია სასწავლო გეგმაში ამიტომ ექსპერტებმა დააფიქსირეს ასევე, რომ „მოდულებში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, რეკომენდებულია, გასწორდეს პროგრამის სასწავლო გეგმაც პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე გასვლამდე. აღნიშნულ საკითხზე საბჭოს წევრმა სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა, სასწავლო გეგმაში მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ საკონტაქტო საათების რაოდენობამ ნამდვილად 0 იყო თუ არა მითითებული, რაც ექსპერტმა დაადასტურა.

სხდომის თავმჯდომარემ და ცენტრის წარმომადგენელმა განმარტეს, რომ მოდულის აღნიშნული ნაწილი - „დამხმარე ჩანაწერები“ არის სარეკომენდაციო და შესაბამისად დაწესებულებას თავისუფლად შეუძლია სურვილისამებრ მისი შეცვლა, ცენტრის შეთანხმების გარეშე, მითიმეტეს თუნ ეს ტექნიკური შეცდომაა. შესაბამისად ამ ნაწილის ასე დატოვება უცნაურად მიიჩნიეს, რომ ტექნიკური უზუსტობა დაწესებულების მიერ არ იყო გასწორებული, რაც გამოიწვევდა საკონტაქტო საათების ჯამური რაოდენობის არასწორად ასახვას მოდულში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მოდული აღებული იყო საიტიდან, სადაც საკონტაქტო საათების რაოდენობა მოცემული სახით იყო წარმოდგენილი. მან განმარტა, დაწესებულებას არ შეეძლო გარკვეული პროცენტული ცვლილებაზე მეტის შეტანა, რამაც გამოიწვია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გარდა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზებისა, შემოწმებული ყველა ინდიკატორი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა გარემოები, გაესაუბრნენ საწარმო პრაქტიკის წარმომადგენლებსაც, რომლებმაც გამოხატეს მზაობა სტუდენტების მისაღებად. მან განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე მასწავლებელთა რაოდენობა იგივე დარჩა, თუმცა მოცემული საკმარისია. მან ასევე აღნიშნა, რომ დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციაც პროგრამის ხელმძღვანელობისათვის. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ონ-ლაინ რეჟიმში ბიბლიოთეკა და მატერიალური რესურსი. მან განმარტა, რომ აღნიშნული საკმარისია და აკმაყოფილებს მოთხოვნას.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული საკითხი არის ტექნიკური ხარვეზი, უზუსტობა. მან აღნიშნა, რომ საათების რაოდენობა შესაძლოა გადანაწილებულია, ხოლო ახალი ჯგუფისთვის, საკონტაქტო საათების რაოდენობა გასწორდება. საბჭოს წევრებმა სთხოვეს დაეზუსტებინა როგორ მოხდა საკონტაქტო საათების ანაზღაურება, თუკი 0 წერია და ამასთან დამოუკიდებელი საათების ანაზღაურება არ ხდება. აღნიშნულზე დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ საკონტაქტო საათები არ შესულა სასწავლო გეგმაში, გადანაწილდა დამოუკიდებელი საათები მთელი წლის მანძილზე. სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ აღნიშნული მოდულის დამხმარე ჩანაწერებში არსებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების შესახებ ცენტრისთვის შეტყობინება აუცილებელი არ იყო და დაწესებულებას მარტივად შეეძლო აღნიშნული ხარვეზის გასწორება. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზი უნდა გასწორდეს.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა გაეკეთებინათ განმარტებები საწარმოო პრაქტიკის მოდულთან და ხანძარსაწინააღმდეგო საკითხთან მიმართებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საათებთან დაკავშირებული საკითხი იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელის გამოსწორებაც მარტივად არის შესაძლებელი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებს არა მხოლოდ „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“პროგრამას, არამედ წყალმომარების და წყალარიანების პროგრამასაც, შესაბამისად კვოტის გაზრდა გამოიწვია კომპანიების ჩართულობამ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ერთ-ერთ კომპანიასთან მუშაობს პროექტზე, რომელიც უკვე დაწყებულია, სადაც უნდა განთავსდეს წყალმომარაგების, წყალარიანების და სანტექნიკის მიმართულების ძალიან დიდი საწარმო და შესაბამისად სტუდენტთა ჩართულობა იქნება დიდი, რამაც

განაპირობა კვოტის ზრდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ გააფორმეს მემორანდუმი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-თან და რაც გულისხმობს ერთობლივი მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის მომზადებას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების საკითხებში. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა შესაბამის უწყებასთან. მან ასევე აღნიშნა, რომ სამშენებლო ინჟინერიაში და სამშენებლო სექტორში გაცილებით დიდია მოთხოვნა, ვიდრე ამას აწვდის ბაზარი. მან ასევე განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს ყველა ის პირობა სასწავლო გარემოების თვალსაზრისით რაც საჭიროა იმისათვის რომ სტუდენტმა მიიღოს შესაბამისი ცოდნა, გარდა ამისა დაწესებულებას აქვს ტრენინგ ცენტრები დაახლოებით 10 კომპანიის ბაზაზე, მათ შორის სანტექნიკის მიმართულებით და მეფილე-მომპირკეთებლის მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტებს კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით ევალებოდათ 2.2 კომპონენტის გადამოწმება. ექსპერტთა მიერ 2.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაში იყო საბჭომ მსჯელობის შედეგად ჩათვალა, რომ 2.2 კომპონენტს სრული შესაბამისობა ვერ ექნება, ეს იქნება მეტწილი შესაბამისობა და დაწესებულებას მიეცემა უფლება, რომ განახორციელოს გაზრდილი კვოტით პროგრამა, თუმცა ჩაინიშნება მონიტორინგი 2.2 და 5.1 კომპონენტების ფარგლებში, რამდენადაც გამოიკვეთა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეხება შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნას. თავმჯდომარემ განმარტა, რომ როდესაც დაწესებულებებს ჰქონდათ მსგავსი პრობლემა, საბჭო ყოველთვის ითხოვდა მონიტორინგს. მან ასევე განმარტა, რატომ გამოიწვია ასეთი მსჯელობა საბჭოს წევრებს შორის კრედიტების რაოდენობამ, რომელიც არასწორად იყო დაფიქსირებული, მან აღნიშნა, რომ ჩანაწერი, რომელიც იყო მოდულში იყო ტექნიკური შეცდომა, დაწესებულება მიხვდა რომ აღნიშნული იყო ტექნიკური შეცდომა და მას ჰქონდა სრული უფლება გაესწორებინა ეს შეცდომა, რადგან სარეკომენდაციო ნაწილია, რომელსაც დაწესებულება ასწორებს, მით უფრო რომ ტექნიკური შეცდომა იყო და შემდეგ ცენტრისთვის ეცნობებინა. მან განმარტა, რომ მოდულში არასწორად მითითებული საათების საფუძველზე შემუშავდა სასწავლო გეგმა, სადაც არ დაფიქსირდა საწარმოო პრაქტიკაზე საკონტაქტო საათების რაოდენობაამას დაემატა ისიც, რომ კოლეჯს არ ექნება უფლება ამ მოდულის განმახორციელებელს გადაუხადოს ანაზღაურება და მისი ხელშეკრულება არ იქნება შესაბამისობაში დამტკიცებულ მოდულთან და სასწავლო გეგმასთან. სწორედ ამიტომ საბჭომ გადაწყვიტა, რომ იმისათვის რომ დაწესებულებამ შეიტანოს ცვლილება, როგორც მოდულში, ისე სასწავლო გეგმაში და ხელშეკრულებაში, რომელიც პრაქტიკის განმახორციელებელთან არის დადებული. გარდა ამისა, მოაგვაროს საკითხები, რომელიც დაკავშირებულია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნასთან ანუ მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, როგორს ეს ექსპერტთა დასკვნაშია მითითებული „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“ პროგრამის შემთხვევაში ჩაინიშნოს მონიტორინგი 2.2. და 5.1. კომპონენტებთან დაკავშირებით, ვიზიტით.
საბჭომ განმარტა, რომ ისინი უთითებენ მხოლოდ 2.2. და 5.1. კომპონენტს, თუმცა ლოგიკურია. რომ შემოწმდება სასწავლო გეგმა და ასევე ხელშეკრულება, რომელიც დადებულია პრაქტიკის განმახორციელებელ პირთან. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას შეერჩია მონიტორინგის თარიღი 6 თვიანი ვადის გათვალისწინებით. დაწესებულებამ მონიტორინგის ვადად შეარჩია 2021 წლის 30 ივნისი.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „სპექტრისთვის“ „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „სპექტრს“ დანართით განსაზღვრულ „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 45-ით **(დანართი 10).**
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული საბჭოს მიერ, საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე და დაადასტურა დაწესებულებამ - კომპონენტები: 2.2., და 5.1. ასევე, შემოწმებულ იქნას პროგრამის ფარგლებში შეცვლილი სასწავლო გეგმა და საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ პირთან დადებული ხელშეკრულება. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 30 ივნისიდან, მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

11. სსიპ-კოლეჯ „სპექტრის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა თამარ რემიშვილმა და ბატონმა გივი დოლიძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ რემიშვილმა განმარტა, რომ პროგრამა შესაბამისობაში სტანდარტებთან. მან განმარტა, დაწესებულებას „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროგრამის განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს 2020 წლის მაისში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 20. ამჟამად ითხოვს დამატებით 30 პროფესიულ სტუდენტს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაიმატა ერთი პროფესიული მასწავლებელი, რასაც წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციაც ითვალისწინებდა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო გარემო, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს, აღნიშნულ სასწავლო გარემოში შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. მან განიხილა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. პირველი რეკომენდაცია ითვალისწინებდა შემდეგს: „რეკომენდირებულია, დაწესებულებაში კვლევები ჩატარდეს არა მხოლოდ შეფასების მიმართულებით, არამედ მოხდეს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალი კმაყოფილების კვლევა, რათა გამოიკვეთოს მათი საჭიროებები“ - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი კვლევების ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია, თუმცა აღნიშნულ საკითხზე აქტიურად მუშაობს წლის მანძილზე. მან აღნიშნა, რომ განახლდა გამოკითხვის ფორმები და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოების ნორმების

დაცვით,დაწ კოლეჯი ეტაპობრივად დაიწყებს გამოკითხვებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული მეორე რეკომენდაციაც, რომელიც მიხედვითაც „დაწესებულებამ კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მარეგულირებელი დოკუმენტები (ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი) შესაბამისობაში მოიყვანოს დებულების სახელწოდებასთან; დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს საქმისწარმოების მარეგულირებელი დოკუმენტი დაწესებულების სახელწოდებასთან და ახალ სტანდარტებთან.“ აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული არაა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეიცვალა სახელი და ეწოდება სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“, დოკუმენტების ნაწილი ძველი სახელითაა დარჩენილი, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია სახელწოდების შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა იმ რეკომენდაციებზე, რომელიც მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში გაიცა. მან განმარტა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ითვალისწინებს უმოკლეს ვადაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის მიმართვას, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის აღების მიზნით.
დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ვინაიდან მხოლოდ კვოტის გაზრდას ეხებოდა საქმე მათ აქცენტი გაკეთებული ჰქონდათ მატერიალურ და ადამიანურ რესურსზე, ხოლო აღნიშნული ასპექტები სავსებით შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი დასაბუთება კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ ზღვრული რაოდენობის გაზრდას 50 პროფესიულ სტუდენტამდე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პრობლემების ნაწილი რომელიც „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“ პროგრამის ფარგლებში გამოიკვეთა, ეხებოდა აღნიშნულ პროგრამასაც, ამიტომ 5.1. კომპონენტის ფარგლებში ჩაინიშნა მონიტორინგი. აქვე, მან მიმართა ცენტრის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა ერთი და იგივე საკითხის გარშემო ორი მონიტორინგის თავიდან ასაცილებლად, შესაძლებელი იყო თუ არა მხოლოდ ერთი პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის ჩანიშვნა, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული შესაძლებელია და საბჭოს შეუძლია შემოიფარგლოს ერთი პროგრამის ფარგლებში ორივე გამოვლენილი გარემოების მონიტორინგით, რამდენადაც ეს სახანძრო უსაფრთხოების თემა ორივე პროგრამაზე ვრცელდება.
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „სპექტრისთვის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „სპექტრს“ დანართით განსაზღვრულ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 50-ით **(დანართი 11).**

12. სსიპ - კოლეჯ ,,ბლექსის" ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა მანანა მოისწრაფიშვილმა და ბატონმა იაზონ დანელიამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა მოისწრაფიშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულება პროგრამას ახორციელებდა 2018 წლიდან, ხოლო 2020 წელს დაწესებულებამ მოიპოვა ხელახლა განხორციელების უფლება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ითხოვს დამატებით 20 პროფესიული სტუდენტის ადგილს, არაინტეგრირებული სწავლებისთვის, რადგან აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კვოტა 40 პროფესიული სტუდენტით, ყველა ინტეგრირებული სწავლებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ ზღვრული რაოდენობის მიზანშეწონილობა ეყრდნობა იმ საკითხს, რომ აღნიშნული პროგრამებისთვის გამოყოფილია A, B და C სასწავლო გარემოები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სასწავლო გარემოების რაოდენობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამდენადაც სასწავლო ცხრილების განაწილება ხდება თავისუფლად, მიუხედავად იმისა დაწესებულებას შეეძლო გამოეყენებინა შეჭრილი ცხრილი და ცვლები. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო გეგმა, გარემოს და მასწავლებელთა დატვირთვები და ადასტურებენ დაწესებულება შეფერხების გარეშე შეძლებს სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობით სწავლებას. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში ახალი მასწავლებლები არ დაუმატებია. მან განმარტა, რომ შემოწმდა მასწავლებელთა დატვირთვები და არც ერთი მათგანის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.
დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ გარემო შესაბამისია, მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და დაწესებულებაში არსებობს ყველანაირი პირობა პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობით პროგრამის განხორციელებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ბლექსისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ .

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“დანართით განსაზღვრულ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით **(დანართი 12).**

13. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის" „კონდიტერიის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.
საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა მანანა მოისწრაფიშვილმა და ქალბატონმა ნანა შათირიშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა მოისწრაფიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულება პროგრამას ახორციელებდა 2018 წლიდან, ხოლო 2020 წელს დაწესებულებამ მოიპოვა ხელახლა განხორციელების უფლება. „კონდიტერიის“ პროგრამაზე განხორციელების უფლება აქვთ 27 სტუდენტზე, აქედან 14 პროფესიული სტუდენტი მოდულურ პროგრამაზე, ხოლო 13 დუალურ პროგრამაზე. მან აღნიშნა, რომ პროგრამა შეფასებული იყო და არ გააჩნდა რეკომენდაციები წინა შეფასებისას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, დაწესებულება „კონდიტერიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ითხოვს დამატებით 14 პროფესიული სტუდენტის ადგილს, მოდულური სწავლებისთვის. მან აღნიშნა, რომ მოდულური სწავლებისთვის ზღვრული რაოდენობის 14 სტუდენტით ზრდის შესაძლებლობა განსაზღვრისას დაწესებულება დაეყრდნო C გარემოს გამტარუნარიანობას. მან ასევე აღნიშნა, რომ ზღვრული რაოდენობის მიზანშეწონილობა ეყრდნობა იმ საკითხს რომ აღნიშნული პროგრამებისთვის გამოყოფილია A, B, C და A/C სასწავლო გარემოები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ C გარემოს ფართი გათვლილია 14 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო დაწესებულებას შეუძლია სასწავლო გეგმის მიხედვით ორი 14-14 სტუდენტიანი ჯგუფი მიიღოს შეჭრილი ცხრილი გარეშე, ხოლო მესამე ჯგუფი არის დუალური სწავლების და შესაბამისად პრაქტიკული კომპონენტი გატანილია დაწესებულების გარეთ. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო გეგმა, გარემოს და მასწავლებელთა დატვირთვები და ადასტურებენ დაწესებულება შეფერხების გარეშე შეძლებს სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობით სწავლებას. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში ახალი მასწავლებლები არ დაუმატებია, 2020 წელს დაიმატეს 8 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 2 პროფესიონალი კონდიტერი. მან განმარტა, რომ შემოწმდა მასწავლებელთა დატვირთვები და არც ერთი მათგანის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.
დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ საწარმოო გაცნობითი პრაქტიკა ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციებში, ერთ-ერთი არის შპს „ალუბალი“, ასევე სასტუმრო-რესტორანი „ჰილტონი“, ასევე აღნიშნა, რომ კონდიტერიის საამქრო უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ადგილზე, ხოლო მასწავლებელი, რომელიც ჩართულია პროცესში არის პროგრამის ხელმძღვანელი, საკონდიტრო საამქროს წარმომადგენელი.
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს პოზიციის დაფიქსირება. მან განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა პედაგოგების ან სახელოსნოების დამატების საჭიროება, რამდენადაც გასულ წელსაც შეეძლო კვოტის გაზრდა, თუმცა პანდემიის გამო დაწესებულებამ ვერ მოასწრო სახელოსნოების დასრულება და მეტწილი შესაბამისობით შეფასდა, აქედან გამომდინარე, რადგან პროცესი არ იყო დასრულებული, დაწესებულებამ ვერ მოითხოვა კვოტის გაზრდა. მან აღნიშნა, რომ შარშან განხორციელდა აღნიშული პროგრამების მონიტორინგი, დაამატეს სახელოსნო, გამოაცხადეს კონკურსი და დაიმატეს ორი ახალი პედაგოგი. მან განმარტა, რომ დაწესებულება შარშანაც იყო მზად კვოტის გასაზრდელად, უბრალოდ ამის საშუალება სამართლებრივად არ მიეცა, ამიტომ შარშანდელი სტრატეგიული

განვითარების ერთწლიანი გეგმიდან დაწესებულებამ აღნიშნული გადმოიტანა 2021 წლისათვის.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ბლექსისთვის“ „კონდიტერიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“დანართით განსაზღვრულ „კონდიტერიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 41-ით **(დანართი 13).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, 18:52 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა

დანართი 1

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სამთო ტექნიკოსი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში 0724	60	75	ქართული	60	ქ. ჭიათურა, გ. თხელიძის ქ. №29
2	სამთო ელექტრომექანიკოსი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში 0724	60	75	ქართული	30	ქ. ჭიათურა, გ. თხელიძის ქ. №29
3	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში 0724	60	75	ქართული	30	ქ. ჭიათურა, გ. თხელიძის ქ. №29

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	32
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	მევენახეობა-მეღვინეობა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0888
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

დანართი 4

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სამკერვალო წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723	99	114	ქართული	45	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8
2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1), (2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	15 (1) 5 (2)	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8
3	თმის მომსახურება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	42	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8
4	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	56	71	ქართული	45	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8
5	კულინარიის ხელოვნება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 1013	84	99	ქართული	42	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8

(3) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(4) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 5.1

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 5.2

პროგრამის სახელწოდება	სარესტორნო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	156
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	186
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	126

დანართი 5.3

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	157
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	26
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	56
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	38
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	53

დანართი 8

პროგრამის სახელწოდება	თმის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

დანართი 9

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი №9
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 10

პროგრამის სახელწოდება	სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	45
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

დანართი 11

პროგრამის სახელწოდება	იატაკისა და ფილის სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	50
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

დანართი 12

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქ. №92ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 13

პროგრამის სახელწოდება	კონდიტერია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქ. №92ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური და დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მოდულური - 28 დუალური - 13
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95